


619  
1958/2

267  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

დროშა  
№ 6 ივნისი 1958







ფოტოგრაფია  
საქართველოს  
ფოტოგრაფიული  
სამსახური



ფოტოგრაფიული ნ. ჯომიძის





7746

## ნეპალის მეფე და დედოფალი თბილისში

17 ივნისს საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდნენ მისი უდიდებულესობა ნეპალის მეფე მაჰენდრა ბირ ბიქრამ შაკ დევა და მისი უდიდებულესობა დედოფალი რატანა რაჯია ლაქში დევი შაკი, რომლებიც საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროვილოვის მოწვევით.

ფოტოზე (ზემოთ): საპატიო სტუმრების შეხვედრა თბილისის აეროდრომზე.



ნეპალელი სტუმრები ავალიერებენ თბილისის ღირსშესანიშნავ ადგილებს.




ნეპალელი სტუმრების მიღება საქ. სსრ უმაღლეს საბჭოში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა







ფოტო ო.თ. თურქიანი

**რ. ჩიჩუა**

— ქალაქში ქალაქი?! საკვირველია! — ჩაილაპარაკა მარტონ იშტვანოვიჩმა და ფრთხილად შეალო სტუდენტ-ქალაქიან რეინის დიდი ჭიშკარი...

ჭოლა თევზაძემ, რომელსაც ახალი დამთავრებული ჰქონდა ასპირანტურა და უნივერსიტეტში მუშაობდა, გულთბილად მიიღო უნგრელი სტუდენტი.

იმ ღამეს დიდხანს ისაუბრეს, ჭოლამ რომ თავისი ბიოგრაფიის თხრობა დაამთავრა, მარტონმა დაიწყო საუბარი.

ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლობდა მარტონ იშტვანოვიჩი, როცა ვიკარის თარგმანით შოთა რუსთაველის უკვდავ „ვეფხისტყაოსანს“ გაეცნო. ბუღაძეშვიტის უნივერსიტეტშიაც გადაჰყვა რუსთაველის საქართველოზე ოცნება. ჩქებდა და კითხულობდა საქართველოს შესახებ ყველაფერს, რაც კი უნგრულ ენაზე მოიპოვებოდა. კითხულობდა ყაზბეგს, სულხან-საბა ორბელიანს...

უნგრეთის ეთნოგრაფიულ მუზეუმში მუშაობის დროს დაეცა, შეესწავლა და სისტემაში მოეყვანა იქ მოთავსებული კავკასიური მასალები. ეს მეტად რთული და საბასუბის-მგებლო საქმე იყო, მაგრამ ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკი ძალ-ღონეს არ იშურებდა.

ამ მასალებში მრავალი საინტერესო რამ იყო. ზოგიერთი სიტყვა და სახელწოდება (მაგალითად — თევზებისა და ხეხილის) უნგრულს ჰგავდა. ამას გარდა, მარტონის ყურადღებას იპყრობდა ყურძენი, რომელიც უნგრეთში, მისი აზრით, კავკასიიდან უნდა იყოს შეტანილი. ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ აღრეულ საუკუნეებში უნგრელები კავკასიის მეზობლად ცხოვრობდნენ. კიდევ ერთი რამ: აქ ცხოვრობს რამდენიმე გაუნგრელებული ოსი...

და დაიწყო მარტონმა კავკასიისა და უნგრეთის ისტორიული ფესვების გამოკვლევა. „რა ბედნიერი ვიქნებოდი, ცოტა ხნით მაინც რომ მამყოფა კავკასიაში, რამდენ მასალას ვიპოვიდი!“ — გაიფიქრა ხშირად გულში.

მუზეუმის ყველა თანამშრომელი პატივისცემით ეპყრობოდა მოკრძალებულ და დინჯ ყმაწვილს. მხოლოდ პროფესორებს მხედველობიდან არ გამოპარვიათ ახალგაზრდა მკვლევარის მეცნიერული აღლო და ერთ დღეს მეცნიერებათა აკადემიაში დაიბარეს.

თავისი სადისერტაციო, ანუ ჩვენებურად, სადიპლომო ნაშრომის ცალკე წიგნად გამოცემის შემდეგ, მარტონ იშტვანოვიჩმა მეორედ განიცადა დიდი სიხარული.

რამდენიმე დღის შემდეგ მეუღლემ და დედ-მამამ გზა დაულოცეს საქართველოსაკენ.

ეს იყო საში წლის წინათ. მას შემდეგ რამდენი მნიშვნელოვანი რამ მოხდა ჩვენი უნგრელი მეგობრის ცხოვრებაში!

გაცნობოდა საქართველოს მდიდარ კულტურას, შეესწავლა მისი ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალები — ეს იყო მარტონის მთავარი მიზანი. მაგრამ ამისთვის ხომ ენის ცოდნა იყო საჭირო?

ქართველი მეგობარი. აი, ვინ ესაჭიროებოდა მას. და ჭოლა თევზაძემ თვითონ შესთავაზა დახმარება.

ჭოლა თევზაძის დახმარებით მარტონი მეორე დღესვე შეუდგა ქართული ენის შესწავლას.

დღე არ გავიდოდა ისე, მარტონს რამიმე ახლი ქართული წიგნი არ მოეტანა. კითხულობდა, დღედაღამ კითხულობდა და გზადაგზა ანბანის მიხედვით იწერდა ქართულ სიტყვებსა თუ გამოთქმებს, თარგმნიდა უნგრულად.

გავიდა ერთი წელი, ორი და მარტონს ოცდაათი ათასამდე სიტყვა დაუგროვდა.

— ლექსიკონს შევადგენ, ქართულ-უნგრულ ლექსიკონს! — აღტაცებით წამოიძახა ერთ დღეს და ოთახში ჩაიკეტა.

ერთი თვის შემდეგ მარტონმა ვეებრთელა ხელნაწერი სუფთა ქაღალდში გაახვია, გარედან უნგრეთის მისამართი დაწერა და ფოსტისაკენ გაეშარა. გაივლის ხანი და მარტონის ოთახის კარებზე ფოსტალიონი დააკაკუნებს.

— დევეშა უნგრეთიდან. თქვენი წიგნი გამოსულა! — მიახარებს მარტონს, აი, როგორც ამას წინათ მიახარა: თქვენი წიგნი გამოსულა, მოგვილოცავსო. ეს იყო გასული წლის ბოლოს. უნგრეთის სახელმწიფო გამოცემლობა „ვეგრობამ“ დაბეჭდა

მარტონ იშტვანოვიჩის ქართული ზღაპრების თარგმანები უნგრულ ენაზე; ეს ქართული ზღაპრების პირველი წიგნია. პირველი იქნება ქართულ-უნგრული ლექსიკონიც.

გარდა ამისა, იგი უნგრეთის ცენტრალურ ყურნალ-გაზეთებში ბეჭდავს სტატიებსა და წარკვევებს ქართული მეცნიერებისა და მწერლების, საქართველოს შესახებ. „თბილისი, საქართველოს გული, 1500 წლისაა“, ასეთი სათაურით დაიბეჭდა ამ დღეებში მარტონის ნარკვევი ბუღაძეშვიტის ცენტრალურ გაზეთში. მაღლის თავის საშობლოში გაგზავნის ილია ჭავჭავაძის პოემა — „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, რომელსაც თარგმნის თავის მეგობარ ცისანა აბულაძესთან ერთად.

ახლა მარტონ იშტვანოვიჩი მუშაობს საკანდიდატო თემზე — ქართული ზღაპრის ერთი ტიპის წარმოშობის შესახებ.


მარტონს მჭიდრო მეგობრული კავშირი აქვს აკადემიკოს კორნელი კეკელიძესა და პროფესორ ქსენია სიხარულიძესთან. მასალებს შეგროვებაში ღიდ დახმარებას უწევენ აგრეთვე, ლექტორები და მეგობრები ტრიფონ რუხაძე, პავლე ხუბუტია, ალექსანდრე ღლონტი და სხვები.

რა საინტერესოა ცხოვრება! აბა, როგორ წარმოიდგენდა მარტონ იშტვანოვიჩი, რომ საქართველოში რამდენიმე დღით კი არა, რამდენიმე წლით ჩამოვიდოდა და სწავლას გააგრძელებდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ასპირანტურაში.

— მე მომხიბლა საქართველომ თავისი მშვენიერი ბუნებით, — ამბობს მარტონი. — მაგრამ საქართველომ უფრო მომხიბლა და მომაჯადოვა თავისი ხალხის სიმშვენიერით.

მას დღემდე არ უგრძენია, რომ უცხო მხარეში, უცხო ხალხში არის მეგობრები ცისანა აბულაძე, ელდარ

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები ავარი ყაზბეგ მიქაილოვი და ლეკი ოლია მამედოვა ესაუბრებიან ერთმანეთს.





მე მიყვარს შენი ზეცა წყაროს თვალივით წმინდა, ქარი რომ ნიხლბებს კეცავს მასთან ვიფრინო მინდა.

ულამაზესო მხარეც, ბარქაინო მიწავ, განახე და გამახარე მშობლიურ მხარედ გიციან.

მინდა მოვმართო საზი, მინდა გიმდერო ნაზად, ჩემი პატარა გული გაგიგო ფიანდაზად.

შენს მიწა-წყალზე კარგო, გალადებული დავალ, ენა რომ მოვიქარგო, მე ხომ ბუღბუღი არ ვარ.

შენი სიტურფით ვტკბები ტოროლასავით ვმდერი, მე მიყვარს შენი მთები, მთები ზურმუხტის ფერი.

იცილი მტერთან შეგმა, ვერ დაგაბერებს წლებმა, ვინც ერთხელ მაინც განახავს არ მიგცემს დავიწყებას.

ბევრჯერ აჩეხს ვაზი, ბევრჯერ გადაწვის მდელო, მაინც ხარ ეგრე ნაზი, ღამაზო საქართველოც.

ქვეყნად ვინ აღარ იცის ულამაზესი ხარო, მე შევხვი შენი მიწის უკვდავებისა წყარო.

და ისტორია ჩვენი უთვალავ სახელს ითვლის, ვინც ლურჯი ზეცის ქერი დაცივა წმინდა სისხლით.

ვინ დაივიწყებს, ვინა, იმ ულამაზეს ქალებს, ვინც საქართველოს მიწას სიცოცხლე ანაცვალეს.

ჩვენს ნამაგდარ მიწას დიდების შუქი მოსავს, ვინ დაივიწყებს ვინა, სააკაძეს და შოთას.

შენ საქართველოც ბრწყინავ, როგორც ვარსკვლავი ცაზე, მომაჯადოებს მუდამ ეგ შენი სილამაზე.

შენი სახელი უკვდავ დიდებით შეიმოსა, შენზე სიძლარე უთქვამს უთვალავ ქვეყნის მგოსანს.

ქვეყნად ვინ აღარ იცის, ულამაზესი ხარო, მე შევხვი შენი მიწის უკვდავებისა წყარო.

თარგმანა გმადლა ქახიძემ



მარტონს ახლახან მეორე ქალიშვილი შეეძინა. მალე უნგრეთში გაემგზავრება; ხელცარიელი ხომ არ მივა? და აი, მარტონმა ეს საჩუქარი უყიდა ქალიშვილს.

მიქაილოვი, ყაზბეგ აუტლევი, ისა აბდულაევი თუ ფოტულა იანაკოპული პირდაპირ, რომ იტყვიან, მოსვენებას არ აძლევენ: ვინ კინოში პატივებს, ვინ—სალამო-კონცერტზე, ვინ—თეატრსა და თეატრში. ამ ორი წლის წინ მარტონ იმტვანოვიჩი მისმა ერთ-ერთმა საუკეთესო მეგობარმა, ამჟამად ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ანდრო მირიანაშვილმა კახეთში, მშობლიურ სოფელ შილაში მიიპატიჟა.

რა ღამაში ყოფილა კახეთი! ერთი თვე გაატარა შილაში. რამდენი რამ შეეძინა, რამდენი ხალხური ბრძნული ამბავი ჩაიწერა. ყველა პატივს სცემდა, ყველას უნდოდა, რამე ესახსოვრა. ამას წინათ მარტონი მისმა მეგობარმა ალექსანდრე ვაჩეიშვილმა დასავლეთ საქართველოში მიიპატიჟა.

რა მეგობრული, რა სტუმართმოყვარე ხალხია! მარტონს ახლახან მეორე ქალიშვილი შეეძინა. ყველამ გულწრფელად მიულოცა. საჩუქრებს ხომ ანგარიში არა აქვს. საჩუქარი წიგნებით მთელი ბიბლიოთეკა შექმნა. სხვა წიგნებს შორის თვალისჩინივით უფრო თხილდება ვანტანგისეულ „ვეფხისტყაოსანს“, რომელიც ალექსანდრე ვაჩეიშვილმა აჩუქა. რუსთაველის ამ უკვდავი ქმნილებით გაიცნო საქართველო და მისმა საყვარულმა მოიყვანა ამ მზიურ მხარეში.

— თქვენ მეკითხებით, საქართველო როგორ მოგწონთო. მე შემეძლო, მეორე დღესვე დაბრუნებულყავი სამშობლოში, — ვერაინ და-მიშლიდა. მაგრამ როგორც ხედავთ, მესამე წელია აქა ვარ და იშვიათად თუ მაგონდება, რომ ერთხელაც იქნება და აქაურობას დავემშვიდობები, — ამბობს მარტონი და სვანურ ქუდს ისწორებს. — თბილისის ზოგაერთი ადგილი ჩემს ბუდაბესტს

მაგონებს. ჩვენი ქალაქიც ასეთივე ჰველი ქალაქია. ამიტომ მიმჩნია მეორე მშობლიურ ქალაქად თბილისი, ხოლო მისი ერთ-ერთი ღამაში კუთხე, სტუდენტთა ეს პატარა ქალაქი — ჩემი მეორე მშობლიური ოჯახია.

და ვანა მარტო მარტონ იმტვანოვიჩისთვისაა სტუდენტ-ქალაქი მეორე მშობლიური ოჯახი? აქ ქართველების გვერდით ცხოვრობს ბერძენი, კორეელი, რუსი, უკრაინელი, სომეხი თუ აზერბაიჯანელი, ადიღელი, ლეკი, ჩუვაში, ყაზბარდელი, აფხაზი, ოსი.

— მე მიყვარს თბილისი, მიყვარს სტუდენტ-ქალაქი. — ჩვენი სიცოცხლით სავსე ქალაქი. — დამტრეული ქართული ღამაში ქალიშვილი, რომელსაც ვიწრო თვალების ზემოთ გადაშლილი შავი წარბები ფართო და ჩაზნექილ ცხვირთან გაერთიანებია. ეს კორეელი კომ რიზაა.

— ემის ალაბუმე დო იერიანონს! — ჩვენ გვიყვარს საქართველო, — ბერძენ ნიკოლოზ ტოსენიდისთან და იულია ბენდერიდთან ერთად ჩვენი კუთხის მიმართ ასეთ უსაზღვრო სიყვარულს გამოთქვამენ სომეხი ალიოზა პაპიანი, აზერბაიჯანელი თეიმურაზ ყულიევი, ავარი ყაზბეგ მიქაილოვი, ლეკი აბუტალიბ ფატალიევი...

სტუდენტ-ქალაქში ბევრი ოთახი „ინტერნაციონალური“ ოჯახის სახელს ატარებს. ასეა, მაგალითად, მეოთხე კორპუსის ოცდამეოთხე გ ტ ოთახი, რომელშიაც ქართველ ირაკლი დალაქიშვილთან ერთად ცხოვრობენ უკრაინელი ვასილ სტასიუკი, ჩუვაში ვალერიან არხანგელსკი და ლეკი ასლანბეგ მუხამედოვი.

ლაშქა... ოთახების უმეტესი ნაწილი სიჩუმეს მოუტაცავს, მაგრამ ირაკლი დალაქიშვილისა და მისი მეგობრების ოთახში კვლავ სიცოცხლეა. მართალია, მეცადინეობა

კარგა ხანია დაამთავრეს, მაგრამ ახლაც სხვა გაჩნდა საინტერესო — აბა, ამ ინტერნაციონალურ ოჯახში სალაპარაკოს რა გამოლევს: ვასილ სტასიუკმა უკრაინის შესახებ წამოიწყო საუბარი; ამას მოყვა ვალერიან არხანგელსკის სიტყვა—ვოლგისპირად მდებარე თავის ღამაზ და მიმზიდველ სოფელ მალიე იაუშაზე. ასლანბეგ მუხამედოვი ცდილობდა, რაც შეეძლება ცოცხლად დაეხატა ზვიადი კავკასიონი და დაღესტნის მრავალფეროვანი ბუნება. ირაკლი დალაქიშვილმა ილიასა და სხვა ქართველი პოეტების უამრავი ლექსები თქვა სამშობლოზე. შემდეგ საუბარი გამართეს თავიანთი ენების შესახებ: მონახეს მსგავსება — განსხვავებანი, გააცნეს ერთმანეთს სხვადასხვა საგნების სახელწოდებანი, ილაპარაკეს თავიანთი კუთხის გამოჩენილ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებზე, ახალ კინოსურათებსა თუ სპექტაკლებზე, წიგნსა თუ სხვა რაიმეზე...

ასე ტკბილად და ძმურად ცხოვრობს თხუთმეტამდე სხვადასხვა ეროვნების ორი ათას სამასი სტუდენტი ჩვენი იუბილარი ქალაქის ერთ-ერთ ღამაზ კუთხეში, მეგობრობის ამ პატარა ქალაქში, რომელსაც ოცდახუთი თუ ოცდაექვსი წლის ისტორია აქვს.

რამდენი მართე დაზრდილა და გაფრენილა ჩვენი საყვარელი დედაქალაქის ამ პატარა კუთხიდან.

რამდენი დაიზრდება და გაფრენდება კიდევ!

ყაზბეგ მიქაილოვს და ალიოზა პაპიანს გამოცდა ჩაუბარებიათ და სასიეროდ ეპატივებიათ ნიკოლოზ ტოსენიანის, კომ ანდრეის და ბერდია ბერიაშვილს.











ქლიპარ ყოიანი

მხატვარი ზ. ლეჟავა

„დამშვიდით, ბატონებო, ნუთუ ჯარისკაცმა უნდა მოგიწოდოთ მშვიდობისმოძიკენ?..“

მას მეტსახელად კრანის ეძახდნენ, რაც გერმანულად წეროს ნიშნავს. იგი გამხდარი, მაღალი კაცი იყო და, ალბათ, შერქმულ სახელში ნათლები სწორედ ამას გულისხმობდნენ. თუმცა, ვინ იცის, იქნებ იმიტომაც შეარქვეს წერო, რომ ცალფეხა იყო. ვიწრო შარვალ-შემოტმანისი მარჯვენა ფეხი სვეტივით ჰქონდა შეყენებული უზარმაზარ სხეულს და როდესაც კრანის თავისი ლულხანის დახლოებით უყვარჯნოდ და გულზეხეულდაქლოილი ელოდებოდა მუშტარს, იგი მართლაც ჰგავდა ცალფეხაკივლ წეროს.

ქარხნებიდან შინ მიმავალი მუშები მის ლულხანაში შემოდიოდნენ წყურვილის მოსაკლავად, სამდინარო გემების მეზღვაურებს თავიანთი მეგობარი ქალებიც თან შემოჰყავდათ ხოლმე გასართობად და ჯვარის გადასაყრელად, ლულხანის მუღმივი მუშტარები კი სამხედროები იყვნენ, გერმანელი და ამერიკელი ოფიცრები.

ქალაქში კრანის არც ნათესავები ჰყავდა, არც ახლო მეგობრები. ამიტომ არავინ იცნობდა კარგად. იცოდნენ მხოლოდ, რომ იგი სულ ახალგაზრდა გაიწვიეს ომში, იბრძოდა რუსეთის ფრონტზე, პირველსავე ბრძოლაში დაიჭრა, იწვა სხვადასხვა ჰოსპიტლებში, მერე ნიურნბერგში ჩამოვიდა და თავის ბეიას შეეკედლა.

მოხუცს გაეუბნებოდა უყვარდა შვილიშვილი. კრანისი სამი წლისაც არ იქნებოდა, როდესაც დედა მოუკვდა და მისი აღზრდა ბებია იკისრა. გარდაცვლილი შვილის მთელი სიყვარული შვილიშვილზე გადაიტანა მოხუცმა. თავს ევლებოდა, ნიავს არ აკარებდა, ამაყობდა თაღლიწ წამოზრდილი ვაჟკაცით. და ბებია კინაღამ ჰკუიდან შეიშალა, როდესაც კრანისი წაიყვანეს, სამხედრო ფორმა ჩააცვეს და რუსეთის ფრონტზე უკრის თავი.

ვერც ფაშისტური გაზეთების ოპტიმისტური კილო, ვერც შვილიშვილის ხშირი წერილები ვერ უჭარწყლებდნენ მოხუცს ყოველდღიურ შიშსა და მუღმივ ლოდინს რაღაც საშინელებისას.

გერმანელ ფაშისტთა კურსკის ბრძოლებში დამარცხების შემდეგ, კრანისი წერილებიც შეწყდა და ბებია ძაძვით შეიშოხა. სწორედ კურსკთან იბრძოდა მისი შვილიშვილი და მოხუცმა იგი დაღუპულად ჩასთვალა.

საწყალი, ხშირად ამოიღებდა ხოლმე კრანისის ბავშვობისდროინდელ ტანსაცმელს და ზედ დასტიროდა.

ადვილი წარმოსადგენია, რა დაემართებოდა ბებიას, როდესაც კრანისი, ცალფეხა, მაგრამ ჯანმრთელი და სიცოცხლით სავსე, ამკვდრებით აღგას და მოულოდნელად გამოეცხადა. სიკვდილამდე ეყო ეს სიხარული მოხუცს, მთელი თავისი ქონება შვილიშვილს უანდერძა და წყნარად მიიკვალა.

კრანისმა არავითარი ხელობა არ იცოდა, სხვა ვერაფერში გამოიყენა მიღებული მემკვიდრეობა და ლულხანა გახსნა ქალაქის ცენტრში.

იგი მადლობელი იყო თავისი ბედისა, მართალია, მძიმე ომი გადაიტანა. იგი მადლობელი იყო თავისი ბედისა, მართალია, მძიმე ომი გადაიტანა. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ერთი თვე დაჰყო ფრონტზე და ტყვის გასროლავე ვერ მოასწავდა, მაგრამ ყოფილი მეომარი უცოდველ კაცად გრძნობდა თავს და ამით იყო ბედნიერი.

ყველაზე გულჩვილი კაციც ბორცტდება ომში. ადრე თუ ჩიტის დატყვევებას ვერ ეგუებოდა, ახლა ადამიანები უნდა ხოცოს, სიცოცხლეს გამოასალმოს, და რაც მეტს მოჰკლავს, მისი ადამიანობაც მით უფრო ფასდება, ვუკამოს, და რაც მეტს მოჰკლავს, მისი ადამიანობაც მით უფრო ფასდება, ვუკამოს,

ცობდა და გმირობად ეთვლება. და მოფენილია ბრძოლის ველი გვამებით, ზოგს სახეზე ვაიკება შეშინება, ზოგს უმწეობა, ზოგი ცას ვაჟურებს მხისსან შეშინებულებით და თითქოს კვლავ განაგრძობს თავის დაცვას, სადაღ მიმალვას აპირებს. დილით ისინი ცოცხლები იყვნენ, ბარათებს სწერდნენ დედებსა და შეყვარებულებს, ვინ იცის, თვითუღმა მათგანმა რა თავისებური და მძიმე ცხოვრების გზა განვლო, ვინ იცის, ბავშვობისას რამდენჯერ გადაურჩა საშინ სენს და რა ბედნიერება განიცადეს მისმა შობლებმა, როდესაც ბავშვი ავადმყოფობას გამოკლივს ხელოდან, მერე როგორ დადიოდა სკოლაში, როგორ გაათვინა პირველი დამე უფროსებისგან აკრძალულმა წიგნმა, როგორ შეუფოთა სული უცრად მარტინიანთა გავრცეველმა გრძობამ, რამდენი იბრძოლა, რამდენი იწვალა, იოცნება, შიშვლად მიხანს, შექმნა ოჯახი, გახდა კაცი და... მისი მოკვლისათვის მადლობა უთხრეს ვიღაც გადამთიელს, უცხო მიწიდან მოსულ ადამიანს.

არა, მართლა გადარჩა კრანისი, ნამდვილად გადარჩა. მას არავინ მოუკლავს, მადლობაც არ მიუღია ფრონტზე და დიდად ბედნიერია ამით.

ახა, წარმოიდგინე იგი, შენსავით ახალგაზრდა, მოხდენილი გარეგნობისა, ჭკვიანური თვლებითა და გამომეტყველებით, ომამდე თავისი ქალისი ქუჩებში დასეირნობდა უღარდელად, თავის ნაცვლს დალაქთან შედიოდა, რომ გაკობტავებული შეხვედროდა იმ გოგონას, ვისაც ჯერ კიდევ შორიდან ეტრფოდა... ჰოდა, ამ ახალგაზრდის სამშობლოს შენ თავს დაეხი, მან იარაღი აიღო თავისი მიწის დასაცავად. შენ კი შეხვდი ბრძოლაში და გულწრფელდ ესროლე, მკერდში ახალე ტყვია, საშუალოდ დააშორე შორეულ სატრფოს და ყველაფერს, გააქრე ადამიანი!

მართლა ბედნიერია კრანისი, კიერზე ცოცხა არ აწვეს, ყოველდამე ტკბილად სძინავს და სიხშირებიც უშფოთელი აქვს. პირველსავე ბრძოლაში დაიჭრა და აჰან გადაარჩინა, მისი სიცოცხლე კი არა, სიცოცხლე სხვებისა, ვინც საკუთარ მიწიდან ერეკებოდა კრანისს.

იგი დვთისმორწმუნე იყო, ხშირად დადიოდა ეკლესიაში. ლულხანის უკან, თავის საცხოვრებელ ოთახში, ხატიც კი ეკიდა. და კრანისს ღმერთთან ერთად ისიც სწამდა, რომ ადამიანები დაბადებულან სიამტკბილობისათვის, ერთმანეთის პატივისცემისა და სიყვარულისათვის.

ლულხანაში ჩხუბი და აყალმაყალი იშვიათად ხდებოდა, მაგრამ თუ ღმერთი გაწყრებოდა და მოქიფენი ერთმანეთზე წაიწვედნენ, კრანისი ილღობებდა მოიგებდა თავის ყვარჯნებს, დახლიდან გამოვიდოდა და პირდაპირ მუშტების სეტყვაში შეჰყოფდა თავს. ყველა შიშობდა არა ევნოთ რა ხეიბრისათვის და ჩხუბიც უმალ წუდებოდა.

თავაზიანი იყო კრანისი, ყველა ღარიბივით სამართლიანი და ყველა ხეიბარივით გულჩახვეული, თუმცა ვერავინ დასწამებდა უხასიათობას ამ ჩუმსა და თევზაბალ ადამიანს, მხოლოდ ერთხელ...

ერთხელ ლულხანაში მთვარალმა გერმანელმა ოფიცრმა რევოლვერი იძრო და ჰაერში დაატრიალა, თითქოს არც სროლას აპირებდა, თითქოს არც არავის ემუქრებოდა, მაგრამ იარაღის დანახვამ გააცოფა მუღამ წყნარი ბარმენი, ისე ხმაშალა შეშვივარა, რომ ერთხელად გაისუსა მთელი ლულხანა.

— გა-გაბრძანდით გარეთ, — ენის ბორძივით თქვა მან, — გა-გადით-მეთქი! მთვარალი, რა თქმა უნდა, ადგილიდანაც არ დაიძრა, პირიქით, ახლა მიწზე იშვინა და რევოლვერის ლულა კრანისისკენ შემოატრიალა, მაგრამ ახსანაგებმა იარაღი შეანახინეს, უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად. ეს ის ოფიცრები იყვნენ, რომლებსაც აქ, ლულხანაში, ხშირად ხმაშალა გამოუთქვამთ ნატვრა ახალი, „თუნდაც ერთკვირიანი“ ომის შესახებ.

მრგვალ მაგიდასთან ორი ახალგაზრდა ახრჩულდა:

- მხდალი ყოფილა ჩვენი მასპინძელი!
- მხდალი? მხდალი შეევედრებოდა...
- საოცარია...
- რა არის საოცარი?

— მომეჩვენა, რომ კრანისი ჰკუიდან შეიშალა... ამის მიქმელს თანამოსაუბრემ უპასუხა, რომ ეს ამბავი არც უნდა გაეკვირდეს, რადგან ჩვენ ხელი არ დაგვჭვია და ამიტომ ცეცხლისა არ გვეშინიაო, და ასე შემდეგ და ასე ამგვარადა. ჩვენს მასპინძელს კი, ვინ იცის კიდევ რამდენჯერ დაურღვევს სიმშვიდეს ომის გახსენება, როგორ აუფორიაქებს სულს და გასტანჯავსო.

მართლაც აღსრულდა მისი წინასწარმეტყველება.

შაბათი იყო. იმ საღამოს ბარი ადრევე გაივსო ხალხით. არ უყვარდა კრანისს ეს დღე; ჩვეულებრივზე უფრო იღვებოდა, უფრო მეტს სვამდა ნაცნობთა ხათრით. ჯერ რვა საათიც არ იყო და უკვე თავი უბრუოდა კონიაკისაგან, ეს უწყვეტი ყაყანი და თამბაქოს შედედებული კვამლი ზედმეტად უღვენებდა სხეულს.

— გეყოფა, კრანის, დათვრები! — შენიშნა, ჰილდამ, ლულხანის ოფიცარი-ტმა ქალმა, და დახლზე თეფშები დააწყო.

კრანისმა საათზე დახსენდა. იგი ელოდებოდა გაზეთის გამყიდველ ბიჭს, რომელსაც საგანგებოდ კრანისისთვის შემოქონდა საღამოს გაზეთი, ლულხანაში სხვებიც უსაღებდნენ გაზეთს და ბიჭს ეს უფრო ოხდავდა, ფულს მისცემდნენ, ხანაზან ლულითაც გაუმასპინძლებდნენ და ქუჩაში გასვლისას, შემთვრალი ბიჭი უფრო მეტი რიხით გაჰყვიროდა სხვადასხვა სენსაციურ სათაურებს.

— ორი ბოთლი წნასი! — თქვა ჰილდამ და სანამ კრანისი თაროდან ბოთლებს ჩამოიღებდა, პატარა „სარკეში“ ჩაიხედა, კბილზე გადასული ტუჩის საღებავი ცვირისახოციოთ მოიცვალა, მერე თვლები მომხიბვლელად მინაზა და სარკეს თავი გაუქნია, „არაო“. ასეთი უარი უფრო გაუღვივებს ინტერესს იქ, მაგიდასთან მჯდომ მეზღვაურს.

ჰილდამ ბოთლებს ხელი დასტავა.

- ახა, ერთი ქუჩაში გაიხედე, — შეაჩერა კრანისმა.
- მეგაზეთე? — გაუგო ჰილდამ.
- ჰო, დაიგვიანა, ალბათ, გაასალა!
- შენთვის შეინახავა!

როცა ჰილდამ ლულხანაში შემობრუნდა, შორიდანვე გააქნია ხელი, ანიშნა კრანისს, არ ჩანს მეგაზეთეო. კრანისი ყვარჯნებს წასწვდა, დახლიდან გამოვიდა, მალე დაგბრუნდებო, უთხრა ჰილდამ და კარისკენ წაბაკუნდა.

ქუჩის ცივი ჰაერი ესიამოვნა კრანისს. ცოტა ხანს ლულხანასთან იდგა და შორს, მოედინისკენ იჭკრიტებოდა. მერე ყვარჯნები წინ გადაისროლა, მთელი სხეულით გადაჰყვა, გადააბიჯა და იმ მოედინისკენ გასწია.

სათის მაღაზიის ვინ ვიღაც კაცი იდგა განმარტოებით და რეკლამის შუქზე ახალ გაზეთს ჩაშტერებოდა.

მაღაზიასთან ავტობუსი გაჩერდა, ორი კაცი ჩამოვიდა, მათაც ხელში გაშლილი გაზეთები ეჭირათ, ეტყობა, ვერ მოასწრეს ავტობუსში წაკითხვა და ამიტომ ისინიც რეკლამის შუქს მიაწყდნენ.





„მართლა გასაღებდა, რაღაც საინტერესო ამბავია დღევანდელ ნომერში“, გაიფიქრა კრანიშმა და იმ წუთშივე შედგა, ყურთ მიუგდო, უნებურად გაეღიმა; სადღაც, შორიდან, რომელიღაც მოსახვევიდან, მოისმოდა მეგავით ბიჭის ხმა. „აქ დაუფიქრი“, გადასწყვიტა მან და ელექტრობის მიერ დრო ბიჭის ხმა თანდათან ახლოვდებოდა, რაღაცას გაჰყვიროდა თავგამოდებით, მაგრამ სიტყვები არ ისმოდა.

საათის მაღაზიასთან მდგომთ ქვეყნად ყველაფერი დაიწყებოდა, ცქმუტავდნენ, ხან ცხვირთან მიიტანდნენ გაზეთს, ხან თავს გააქნევდნენ, თითქოს ამბობდნენ, „ეს რა მომხდარაო“.

მოსახვევიდან მეგავით ბიჭი გამოვიდა. მარცხენა ხელით გაზეთების მთელი დასტა ჩაებლუჯა, ერთ ცალს მარჯვნივ აფრიალებდა. შედგა, მოედანი მოათვალიერა; საითკენ წავიდე, საით უფრო მეტი ხალხიაო, მაგრამ სანამ ამას გადასწყვეტდა, თვითონ მყიდველები წამოვიდნენ მისკენ, გადალმა ტროტუაროდან, მოედნის შორეულ კუთხიდან. გახარებულმა ბიჭმა ადგილზე ტრიალი დაიწყო, ჰაერში გაზეთი ააფრიალა და განგებ დაბოხებული ხმით შეჰყვირა:

— ცოცხლად დამარხული ომი... ყუმბარებზე აშენებული ქალაქი!.. კურსკი ნაღმების ვულკანზე, კურსკის მეორე ანომალია! — ამოიხსენებოდა და თავიდან დაიწყო, — ცოცხლად დამარხული ომი..

საათის მაღაზიასთან მდგომმა კაცებმა ახლა კი მიანებეს თავი გაზეთებს და აიხედეს, მაგრამ ბიჭის ყვირილს კი არ მიუქცევია მათი ყურადღება, რაღაც შემწარავი წამოყვირება მოესმათ სულ ახლოს.

ეს ცალფეხა იყო, იგი ყვარჯენებზე გადაფხორილ მოჩვენებად ქცეულიყო. იგი ჰგავდა შემადარწუნებელი სიწმირით სახეაშლილ ადამიანს, ასე უბტიხ ნაკვთები მძინარეს, როცა სიწმირში მოსაკლავად მისდევინ. და თითქოს მართლაც გაურბის მდევარსო, ცალფეხა მოჩვენება უეცრად შეტრიალდა, ყვარჯენები წინ გადასროლა და კენგურუსავით ისკუბა, კვლავ გადისროლა და ისკუბა, თანდათან მოუმატა სირბილს, გადაუსწრო გაქანებულ ავტობუსს, გადასჭრა ქუჩა და გაქრა.

ოცი წუთის შემდეგ გაზეთების გამყიდველი ლუღხანაში შევარდა და კარებშივე დაიყვირა:

— ცოცხლად დამარხული... სად არის ძია კრანიში? — გაოცდა ბიჭი.

\* \* \*

გვიან ამოსულმა სავსე მთვარემ ჩრდილები ჩაათალა თავწყვეტიან სახლებს და დაცარიელებულ ქუჩებში ჩააფინა. მიწყნარდა ქალაქი, მხოლოდ აქა-იქ პოლისმენთა ნაბიჯების ხმა არღვევდა მყუდროებას.

ცნობისმოყვარენი არიან ეს პოლისმენები, თუ ოდნავ უჩვეულო რამ შენიშნეს, ან ღიად დარჩენილი ტიშარი ან განმარტობით მდგომი ადამიანი, ან ეს, ან ის, მაშინვე ეჭვი აღძვრებათ, და სანამ დამაკმაყოფილებელ პასუხს არ მიიღებენ, მოსვენება დაკარგული აქვთ.

აი, მაგალითად, ის ხეივანი, ცარიელ ქუჩას რომ მიჰყვება ბარბაციო, რატომ ჩერდება, რატომ იხედება აქეთ-იქით? რატომ ჩაღუნავს თავს და აშტერდება მიწას?

პოლისმენი მიიმედ აედევნა ცალფეხას, ჩრდილ-ჩრდილ გაჰყვა შეუმჩნევლად. კრანიში ჩვარივით ეკიდა ყვარჯენებს, უკვე აღარ შეეძლო სიარული, მაგრამ არც დაჯდომას აპირებდა. სახე უცნაურად მოპრანჭვოდა, თითქოს ვიღაც უხილავ მოქანდაკეს ერთი ოსტატური ხელისმოსებით მწუხარედ გარდაექცია უდარდელი კაცი.

რა შემადარწუნებელი იყო ის ამბავი კრანიშისათვის და რა უბრალოდ გაჰყვიროდა მეგავით ბიჭუნა. თითქოს განგებო, კრანიში თვითონ გაეგება ქუჩაში... როგორ მოისაზრებდა, რომ ომის დროს მიწაში ჩამარხული და დანადგული ყუმბარები დღეს აფეთქდებოდა, ვინ მოიფიქრებდა, რომ ის ყუმბარები ტანკებს და ქვემეხებს კი არ დაამსხვრევდა, დივიზიებს კი არ განადგურებდა, არამედ მშვიდობიანი ქალაქის მოსახლეობას. და კრანიშს ეკლავებოდა მოულოდნელი აფეთქებისაგან წუთით გაოცებული და ახლა მკვდარვით გაწოლილი ქალაქი კურსკი, ნანგრევებში ჩამარხული ქალები, რომლებიც იმ ყუმბარების ჩაწყობის დროს, ალბათ, ბავშვები იყვნენ, და ბავშვები, რომლებიც მაშინ დაბადებულიც არ იქნებოდნენ.

ის ყუმბარები კრანიშმა დამარხა. სხვა გერმანულ ჯარისკაცებთან ერთად, თავისი ხელით ჩააწყო ორმოში, დანაღმა და მიწა გადააფარა. ალბათ, სწორედ ის ორმო აფეთქდა ახლა. ძნელი მისაგნები და აღმოსაჩენი იყო და, ეტყობა, რუსმა ჯარისკაცებმა ვერ იპოვნეს თავის დროზე.

მაშინ ომი იყო. კრანიში იბრძოდა, ბრძანებას ასრულებდა, პირველ სამხედრო ბრძანებას, და რას იფიქრებდა, რომ თავით ფეხამდე შეიარაღებული ჯარის მაგივრად, იმ მახეში მშვიდობიანი მოსახლეობა გაეხმებოდა, რომ ის ხვანგი დღეს ასხლტებოდა, თხუთმეტი წლის შემდეგ, როცა სროლის ხმა დიდი ხანია, რაც მიწყდა, ქვეყანა დიდი ხანია, რაც დაწყნარდა, სხეულმა, გულმა და გონებამ ნეტარი სიმშვიდის მთელი სიამოვნება განიცადეს და ცხოვრობდა წყნარად კრანიში, ყოფილი მეომარი, დღეს კი მტერი ომისა და მკვლელობისა.

კრანიშმა ცისკენ აღაპყრო თვალები, ერთ მკრთალ ვარსკვლავს მიაჩერდა, მერე შორს, იმ ვარსკვლავზე შორს გაფრინდა ოცნებით, უსაზღვროების ბნელ ბურუსში გაეხვია და იმ ბურუსს ჰკითხა: „ღმერთო, ნუთუ მე ვარ დამნაშავე?“ უკანდაც ვიღაცამ ბეჭე შეიღო დააღო. კრანიში გველნაკბენივით შეერთა, მოიხედა და პოლისმენი დაინახა.

— კრანიშ, შენა ხარ?! — ჯერ გაოცდა, მერე გაეღიმა პოლისმენს, — ლუღხანა ხომ არ გაჰყიდე?


ცალფეხა ნგარიშითუცემლად გვერდზე გახტა, რაღაცას წამოედო, წაიფორხილა, ზურგით დაასკდა მიწას და ტროტუარზე კეფა ახალა. ცალი ყვარჯენი ქვაფენილზე არაკრავდა, ცალი სახეზე დაეცა.

კრანიშმა გონება დაჰკარგა.

\* \* \*

სასამართლოს დარბაზი ხალხითაა სავსე. საბრალდებლო სკამზე კრანიში ზის. სათვალავიან პროკურორს ხელში უზარმაზარი, გვერდებგამოკლებილი ყუმბარა უჭირავს, გლობუსივით ნელ-ნელა ატრიალებს და კითხულობს ზედ დაწერილ ბრალდებას. თანდათან უმატებს ხმას, თანდათან ეღრუბლება სახე. ვერ მიმხვდარა კრანიში, რა ეროვნებისაა პროკურორი, გერმანელსაც ჰგავს და ჩინელსაც, ინგლისელსაც და რუსსაც. თუმცა ეს სულმართია; ბრალდებას იგი გერმანულად კითხულობს და კრანიშს ლურჯ-მანივით ექედება ტვინი თვითიული სიტყვა... ხალხი დღევანდელ, აღშფოთებული იმ საშინელებით, რაც კრანიშს ჩაუდენია... ბოლოს პროკურორმა სათვალე მოიხსნა და ყუმბარა იატაკზე გააგორა.

— სცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ?! — უეცრად დაიგრგვინა ყუმბარამ და კრანიშს წინ აეტუჯა.





თავზარდაცემულმა კრანისმა გაქცევა სცადა, მაგრამ სხეული არ დაემორჩილა. თავს ძალა დაატანდა და ყუმბარა შეათვალა, „ის არის“, გაიფიქრა მან.

— უბასუხეთ სასამართლოს, სცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ? — გაიმერა ყუმბარამ.

— არა!  
დარბაზი უფრო ახმაურდა, რაღაც დაუფიქრებელი კრანისმა, შეაგინეს, შეუკურთხეს. „არ მესროლონ“, გაიფიქრა მან და დარბაზისკენ თვალი გააპარა. შიშლი დაინახა, მის გვერდით მეგაზეთი ბიჭი იჯდა. ხელს უქნევდნენ, უღიმოდნენ, შორიდან ამხნევებდნენ.

კრანისმა თვალზე ცრემლი მოადგა.  
— კეთილი, — თქვა პროკურორმა და წამოდგა, — რადგან უდანაშაულოდ მიგანიათ თავი, მივმართოთ დოკუმენტს, დაიწყეთ! — ბრძანა მან.

კრანისმა გააუფიქრა: „რა უნდა დაიწყონ?“

სასახლის ჭერი გადაიხსნა და ცაზე გამოჩნდა წარწერა: „1948“. ნახევრად-დანგრეულ ქალაქ კურსკს საბჭოთა დივიზიები უახლოვდებოდა. ქალაქში გერმანულ ფაშისტთა ნაწილები ნაღმავენ ქუჩებს, სახლებს, გვამებს, ყველაფერს! აი, ღრმა ორმოში ყუმბარებს აწყობენ ჯარისკაცები, მათ თავზე ოფიცერი დასდგომიათ... ერთ მაღალ ჯარისკაცს ყუმბარა აუწვებია და ზედ დაჰყურებს, თითქოს ვერ გადაუწყვეტია ჩაფლას ორმოში თუ არა.

— მივედრებით მუშაობ, კრანის! — უფიქრის მას ოფიცერი.

ჯარისკაცი მალა იყურება, მორჩილების ნიშნად თავს უქნევს ოფიცერი... ცაზე ახლა თეთრი ღრუბლები გამოივლიან. პირველს აწერია „1957“, მეორეზე იხვე ქალაქი კურსკი ჩანს, აშენებული და გალამაზებული. მესამე ღრუბელმა სწრაფად გადაიარა, კრანისმა თვალი გაადევნა და დაინახა ბავშვები, რომლებიც ქუჩაში ბურთს დასდევდნენ. უცნაოდ ეს ღრუბელი გაწითლდა, ცეცხლად იქცა და აფეთქდა. შვიც კვამლიდან თავი გამოჰყვეს ბავშვებმა, ისინი ტირილდნენ, რადგან ბურთი გამსკდარიყო, მერე მუშტები მოუდერეს კრანისს და უსულოდ ჩამოვარდნენ დედამიწაზე... ცა ჩანებულა, სასახლეს კვლავ გადმოეხურა ჭერი.

— ახლა რას გვეტყვი? — ნიშნისმოგებით ჰკითხა პროკურორმა, — იცით თუ არა, რამდენი ბავშვი ემსხვერპლა ამ აფეთქებას? თქვენ კი უცოდველ კაცად მიგანდათ თავი!

კრანისმა სიმწრისაგან ტუჩები დაიკბინა...

— არ უნდა დაეღია და ეს არ დაემართებოდა! — მოულოდნელად წამოიძახა შიშლი დარბაზიდან...

...კრანისმა თვალები გაახილა. თავის ოთახში იწვა, ლუდნახის უკან. ფანჯარასთან შიშლი იდგა და თევზში სველ ტილოს სწურავდა.

— არ უნდა დაეღია! — გაიმერა თავისთვის შიშლი.  
კრანისმა ყველაფერი გაახსენდა. მეგაზეთი, პოლისმენიცი, სიზმარიც. ძლივს წამოიწია ლოგინიდან, მთელ სხეულში ჩატბორებულყოფი არაქათამაც-ლელო, მთვლელო ტივილი.

— ვინ მომიყვანა? — სუსტი ხმით წარმოთქვა მან.

შიშლიმ საწოლთან მიიბრინა.  
— მალეობა ღმერთს, გამოფიქვლი. ვანა შეიძლება ამდენი სმა? ლუდნახიდან ყვირილი მოისმა, მაგიდებზე მუშტებს უბრაზუნებდნენ.

— რა ამბავი აქვთ? — იკითხა კრანისმა.  
— ოფიცრები არიან, ლუდი გათავდა და თუ ადგომა არ შეგიძლია, სარდაფის გასაღები მომეცი, თორემ ავკილდები.

— გაზეთი? — ფარული აღელვებით წარმოთქვა კრანისმა.  
— მოიტანა. — უბასუხა შიშლი. — მომცემ გასაღებს?

— წაიკითხე?  
— ხად მეცალა მაგისთვის... რაღაც ყუმბარები აღმოაჩინეს კურსკში...  
— აღმოაჩინეს?! — თვალები გაუფართოვდა კრანისს, თითქოს უნდოდა დაენახა ის, რასაც შიშლი ამბობდა.

— ზო, აღმოაჩინეთ ომის დროს დამარხული ყუმბარები, ამოუღიეთ და ცალ-ცალკე აუფეთქებთ ქალაქგარეთ, გადარჩენილა კურსკი. ბოლოს-დაბოლოს, მომცემ თუ არა გასაღებს?

— შიშლი! — ისე ხმაშალდა დაიყვინა კრანისმა, რომ ლუდნახში ყაყანი შეწყდა.

კრანისმა წამოხტა, წამოხტა თავის ერთადერთ ფეხზე, და როგორც ბავშვებმა იციან ხოლმე ქუჩაში თამაშის დროს, ასევე იქცა ლუდნახისაკენ, ისე სწრაფად, თითქოს აქამდე მართლაც ცალფეხაკეცილი წერო იყო და ახლა ის ფეხიც ამოირავა.

— შიშლი, შიშლი! — გაჰყვიროდა იგი და ამ ერთ სიტყვაში გულისხმობდა ყველაფერს — თავის უნებურ შეცდომას, რომელმაც პოლისმენთან შეხვედრა და მერე საშინელი სიზმარი მოაღწია, და თავის დიდ სიბერულსაც.

კრანისმა ლუდნახის კარი შეაღო. ყველა შეეშოთებინა უჩვეულო ყვირობის და დახლთან მოზღვავებულიყვინის. როდესაც სახანაოთბეული კრანისმა უყვარჯლოდ დაინახე, მაშინ კი ნამდვილად ირწმუნეს, რაღაც უმეტად რეზა მონღო და ის იყო ოთახში უნდა შეჭრილიყვინენ, რომ თვითონ შიშლი გამოვიდა.

ერთმა ოფიცრმა შორიდან ანიშნა ქალს, „რა მოხდა, რა დაემართა შენს პატრონსო“, შიშლი გვერდით ამოუდგა ოფიცრს და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა.

— გაუხარდა?! — ჩაილაპარაკა ოფიცრმა და კრანისს დამცინავი თვალუბი შეანათა, — ნამდვილი გერმანელი ყოფილა...  
მაგრამ კრანისს არაფერი ესმოდა, ორივე ხელით ჩაბლაუჭებოდა კარს. მას რაღაც ელანდებოდა, შორეული, დაიწყებული ზღაპარით ჰეროვანი...

იგი მოულოდნელად შეტრიალდა ოთახში, კარი გადარჩა, ტახტს ხელეებით დაეყრდნო და იატაკზე ჩაიჩოქა. მერე სახურავი ახდა ტახტს და თავისი გრძელი ხელებით ძველმანებში ჩაეფლო. დიდხანს ჰყარა აქეთ-იქით ბეზას ნაქონი ნივთები, თავწვეტა ქოლგა და ბურთუთის ყუთი, ფრთხანი და უფროთო შლიაბები, საქარგავი დაზგა და ყდაგაცევილი სქელი რომანები, და ბოლოს იპოვნა, რასაც ეძებდა.

ეს იყო კრანისის ბავშვობისდროინდელი ფეხბურთის პატარა ბუცები, ლანჩებულა და ერთმანეთზე თანხით გადაბმული.

კრანისმა მოჯადოებულოვით დააცქერდა თავის ფეხსაცმელებს, ნელ-ნელა შეატრიალა, შეათვალა, თითქოს ზედ აღბეჭდილიყო მისი უდარდელი ბავშვობის ყოველი დღე, და ელოდა, რომელიმე ლაქა ან გაცევილი ადგილი რაღაც მნიშვნელოვანს გაახსენებდა.

უცნაოდ ერთმანეთს მიატყუპა ბუცები და აკოცა. კოცნიდა ნაზად, უხმაუროდ, და ტირიდა.

მას ელანდებოდა ბავშვები, რომლებსაც არახოდეს არ უნდა შეერქვათ მეტსახელად წერო.



### გზა მესნიერებისაკენ

ნაწული თოღუა ჯერ, რა თქმა უნდა, მეცნიერი არ არის, მაგრამ გზა, რომელიც მან სკოლიდან უნივერსიტეტამდე განვლო, უმეკელად მეცნიერების მწვერვალისაკენ მიდის. მეცნიერების ის დარგი, რომელშიც ნაწული ესოდენ გატაცებით მუშაობს, მეცნარეთა ბიოლოგიაა. ვერ ვიტყვი, რომ ამ დარგში ნაწული საოცარი და დიდი იმედების მომცემია ნიჭი დაბადებულანვე დაპყრობდეს. როდესაც იგი თბილისის ბიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში მიიყვანეს, გადაწყვეტილიც არა ჰქონდა, თუ რომელ წრეში ჩაწერილიყო. მაგრამ ერთხელ იგი თავის მეგობარ გოგონას წაყუა სასახლის ბიოლოგიურ კაბინეტში, დაესწრო მეცნიერებას.

— ახა, გოგონა, შენ რას იტყვი ამ საკითხზე?

პატარა ნაწული წამოდგა და დაბნეულად მიმოიხედა ირგვლივ. მაგრამ თავისი აზრი მაინც გამოთქვა. კაბინეტის გამგემ თამარ ჯიქიძემ ახლა სხვა კითხვა დაუსვა.

— ეს ჩვენი კაბინეტის წევრი არ არის, პატრიცეზული მასწავლებელი, სტუმარია ფოტომოკერულთა კაბინეტიდან, — თქვა ნაწულის მეგობარმა.

პატრიცეზულმა თამარმა ნაწულის ურჩია ევლო მეცადინეობაზე.

ნაწული ბიოლოგიის წრის აქტიური წევრა გახდა. ბეჯითი შრომა იყო ნაწულისთვის წარმატების მომტანი, როგორც სკოლაში, ასევე სასახლის ბიოლოგიის კაბინეტში.

სასახლის ბიოლოგიის კაბინეტის დარგინების წრეში ნაწული თეორიულ მეცადინეობასთან ერთად პრაქტიკულ მუშაობას აწარმოებდა, ატარებდა ცდებს სასახლის საცდელ ნაკვეთზე. რგავდა მეცნარეებს, უწლიდა, მოჰყავდა კარტოფილი, კომბოსტო, სტაფილო... ყოველი პრაქტიკული საქმიანობიდან თეორიული დასკვნა გამოჰქონდა, ადგენდა დიუბლებს. ახლა მას გულში ჩაენერგა სურვილი — შეესრულებინა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის მიღებისათვის საჭირო პირობები. ნაწულიმ 70 კვადრატულ მეტრ ფართობზე 200 კილოგრამი კომბოსტო მოიწია, რაც ერთ ჰექტარზე გადანგარიშებით 30,1 ტონას შეადგენს. ვეგეტაციური წესით ოთახის 30 მეცნარე გამოიყვანა, საცდელ ნაკვეთზე დარგო

და გაახარა 25 ძირი ხეხილი. ეს იყო 1952 წელს, შემდეგ უფრო უწყეთესი მაჩვენებლები მიიღო. აწარმოებდა დაკვირვებებს ერთუჯრედიან ცხოველებზე, წერდა მოხსენებებს, რომლებითაც სასახლის სასწავლო-მეცნიერების კონფერენციებზე გამოდიოდა, ერთ-ერთი ასეთი მოხსენების გადაშუშვებით დაწერა და გამოსცა წიგნი „ცოცხალი კუთხე სკოლაში“, რომელმაც პოპულარობა მოიპოვა მოსწავლეებში. გააკეთა სპეციალური ფარი „საქართველოს ჩაი“, რომელზეც ილუსტრაციებით და ნატურალური ექსპონატებით წარმოადგინა ქართული ჩაის თავისი, მოვლის, მოყვანისა და გამამუშავების წესები, აგრეთვე, ქართული ჩაის პრაღულტები.

ახლა უკვე ნაწულის წინ არაფერი ელოდებოდა, რომ მონაწილეობა მიეღო გამოფენაზე. ცოდნამ, ბეჯითმა სწავლამ და შრომამ საშუალო სკოლის მოსწავლე გამოფენის მონაწილეობა გახდა. ნაწულის ფარი „საქართველოს ჩაი“, გამოფენილი იყო ნორჩ ნატურალისტთა პავილიონში.

მომდევნო წელს ნაწული ხელახლა გახდა გამოფენის მონაწილე.

„უძღვნი თბილისის ბიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს“, — ამ წარწერით უძღვნა ნაწული თავის აღმზრდელს მეორე წიგნი „საქართველოს ნორჩი ნატურალისტები საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე“, რომელშიც განზოგადებულია ნიჭიერი ნორჩი ბიოლოგების გამოცდილება.

დამთავრდა საშუალო სკოლის პერიოდი. ნაწულის ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო. იგი სტუდენტი გახდა, ცხადია, იმ ფაკულტეტისა, რომელიც მის საყვარელ მეცნიერებას სწავლობს — ბიოლოგიური ფაკულტეტისა.

აქაც ყურადღებას იპყრობს ნიჭიერი, შრომისმოყვარე გოგონა წარჩინებული სწავლით, თავისი მეცნიერული მონაცემებით. აქ მან შესამჩნევად დაწერა და გამოსცა — „მტაცებელი მცენარეები“, რომელშიც მრავალი დამოუკიდებელი მეცნიერული აზრია განვითარებული.


ეცნობა ამ გოგონას ცხოვრებას, მის საქმიანობას და გული სიამაყის გრძნობით გვეგება, რომ ჩვენ სამშობლოს ასეთი შესანიშნავი ახალგაზრდობა ჰყავს.

ვლ. დემეტრაძე





საქართველოს სსრ-ის სპორტის განვითარებისათვის



სპორტის განვითარებისათვის



ფოტო ბ. თიქანაძისა

ჯიშის სექციაში და გამოცდილი პედაგოგების ვანტანგ ჩითიშვილისა და ვლადიმერ ბათიაშვილის ჯგუფში დაიწყო მეცადინეობა. აქედან იწყება მ. ნინოშვილის სპორტული გზა. ნიჭიერი სპორტსმენი ყოველ შეჯიბრებებზე წარმატებებს აღწევს, დღითიდღე იხვეწება და მაღლდება მისი ოსტატობა და აი, 1957 წლის აპრილში, თხუთმეტი წლის მზია ნინოშვილი, საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის ნორმას ასრულებს.

ახალგაზრდა ტანმოვარჯიშის სპორტულ ბიოგრაფიაში ყველაზე დასამახსოვრებელი იყო გასული წლის ივლისი. ქალაქ რიგაში, სადაც ჩვენი ქვეყნის მოსწავლეთა სპარტაკიადა მიმდინარეობდა, მზიამ საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონობა მოიპოვა გოგონათა შორის.

არანაკლები მიღწევებით აღინიშნება მზიას გამოცდები სხვა მნიშვნელოვან შეჯიბრებებზეც. გასული წლის ბოლოს მზია საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდში იქნა ჩარიცხული. უძლიერეს ათეულში ნიჭიერი ქართველი ტანმოვარჯიშე ყველაზე უმცროსია წლოვანებით. მზია ნინოშვილმა სულ ახლახან აიდგა ფეხი სპორტულ სამყაროში. იმედია, რომ მზია თავის მომავლით მრავალ სიხარულს მიანიჭებს ქართველ სპორტის მოყვარულებს.


ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა რამდენიმე კადრი გადაუღო მზია ნინოშვილს, როდესაც იგი ასრულებდა თავისუფალ ვარჯიშს.

დააკვირდით რა მომხიბვლილი, ზუსტი და ოსტატურია მისი ყოველი მოძრაობა, მისი ყოველი ილეთი.

ნ. ლოლობერიძე

როდესაც გაზეთმა „ლელომ“ გამოაცხადა კონკურსი, თუ ვინ იყო „საქართველოში ყველაზე პოპულარული სპორტსმენი 1957 წელს“, რედაქციაში ათასამდე წერილი შემოვიდა, რომლის ავტორებიც ყველაზე პოპულარულ სპორტსმენ ქალად მზია ნინოშვილს ასახელებდნენ. ამ კონკურსში მზია „მეორე ნომრად გავიდა“, სახელმწიფო მძლეოსანის სპორტის დამსახურებული ოსტატის ნადეუდა დვალისშვილის შემდეგ. რითი აიხსნება შედარებით უცნობი სპორტსმენის ასეთი პოპულარობა? საქმე იმაშია, რომ ამ ნიჭიერმა ტანმოვარჯიშემ მოკლე ხანში მნიშვნელოვანი წარმატებების მიღწევა შეძლო და, რაც ყველაზე მთავარი და სასიხარულოა, სპორტის სპეციალისტები მასში იმედისმომცემ, საუკეთესო მომავლის მქონე ტანმოვარჯიშეს ხედავენ.

თერთმეტი წლის იყო მზია, როდესაც პირველად მივიდა ტანვარჯიშის










ინისია თბილი დამე იყო. მთვარე ღრუბლებს მოჰფარებოდა და გზაზე აქა-იქ უცნაურ ჩრდილებს ხაზავდა. დამის სიჩუმეს ცხენის ფეხის ხმა და ფრუტუნის არღვევა მხოლოდ. სოფელ ტამის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შოთა ყულუმბეგაშვილი მეზობელ სოფელში მიემგზავრებოდა. ჩაფქრებული მხედარი ცხენს ნელი ნაბიჯით მიჰყავდა ნაცნობ გზაზე, უცებ, ხვიდან თოფმა იგრილა და დამფრთხალი ცხენი ყალუზე შედგა. მეორედ ნასროლ ტყვიას იმ ადგილზე აღარც ცხენი დახვდა და აღარც მხედარი — გაქვინებულმა ცხენმა პატრონი სიკვდილს გადაარჩინა.

...ბოროტმოქმედი დამის სიბნელეში გაუჩინარდა. მილიციის მუშაკების მიერ დაუყოვნებლივ დაიწყო საქმის გამოძიება. დააკავეს ექვმიტანილი პირები. ერთ-ერთი მათგანი გიორგი გოგიჩაშვილი, იმავე კოლმეურნეობის წევრი იყო, რომლის თავმჯდომარედ მუშაობდა შოთა ყულუმბეგაშვილი. წინა დღეს შელაპარაკებისას გ. გოგიჩაშვილი მოწმეების თანდასწრებით, სიკვდილით დამუქრებოდა თავმჯდომარეს.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ნაპოვნი იქნა ქაღალდის სამი ნახევარი... მეტი არაფერი. ქაღალდების ნახევებს ნაპირები შებოლილი ჰქონდა და ზედ ტიპოგრაფიული შრიფტით შესრულებული ნახევდი სიტყვები ემჩნეოდა, ამიტომ ექვი იქნა მიტანილი, რომ აღნიშნული ქაღალდის ნახევები ამოხეული უნდა ყოფილიყო წიგნიდან.



ჩატარეს ჩხრეკა გიორგი გოგიჩაშვილის და გვერდით მცხოვრებ მისი ბიძის, ილია გოგიჩაშვილის ბინებში. ილია გოგიჩაშვილის ბინაზე ნაპოვნი იყო 28 ყალიბის სანადირო თოფის ორი ვაზა — ერთი დატენილი, რომლის პიუდაც გამოყენებული ყოფილა ნახევდი ქაღალდის ფურცელი, მეორე კი ცარიელი, გასროლილი წიგნს, რომელიც მე-6 კლასის „მშობლიური ლიტერატურის“ სახელმძღვანელოს წარმოადგენდა, ერთი ფურცელი ჰქონდა ამოხეული. ილია გოგიჩაშვილი დაკითხვის დროს მეტად შეშინებული და განცვიფრებული ჩანდა. სანადირო თოფი ჩემია, მაგრამ მე არ მისროლია, სახელმძღვანელო კი ჩემი არ არის და პირველად ვხედავო, — იმეორებდა ის გამოძიებლის შეკითხვაზე.

— კი მაგრამ, მაშინ საიდან მოხვდა ეს წიგნი თქვენი სახლის სხვენზე? — ილია გოგიჩაშვილი შემკრთალი იმუშუნებოდა. დაიბადა ექვი, რომ ილია გოგიჩაშვილიც ბოროტმოქმედთა რიცხვს ეკუთვნოდა. ახლა საქმე უფრო მეტად დაიხლართა და გამოძიებამ უფრო რთული სახე მიიღო. ილია გოგიჩაშვილს ჩამოერთვა 28 ყალიბის სანადირო თოფი. ახლა უკვე გამოძიებული ფაქტების გაშიფრვა და დამტკიცება იყო საჭირო.

სულ მალე საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს თბილისის სამეცნიერო-კვლევითი კრიმინალისტურ ლაბორატორიაში შემოვიდა გორის რაიონის პროკურატურის მიერ გამოგზავნილი საქმე სასამართლო-ბალისტიკური და ტრასოლოგიური ექსპერტიზის ჩასატარებლად.

გამოკვლევის პროცესში, როდესაც ქაღალდის ნახევები დამუშავებულ იქნა გაფილტრულ ულტრაიისფერი სხივების საშუალებით, გამოირკვა, რომ ქაღალდის თოფის ვასაზეთი ლუმინესცენციის ნიშნები აქვს. ქაღალდების დაფლეთის ხასიათმა, სიღამწვრემ, სიყვითლემ და შემოაღნიშნულმა ლუმინესცენციამ ექსპერტი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ვაზნის დატენვის დროს, სწორედ ეს ქაღალდი იყო გამოყენებული და გასროლის შედეგად შემთხვევის ადგილზე დარჩენილი.

მიკროსკოპული სიზუსტით შეერთებულმა ნახევებმა შეადგინეს ნახევდი სიტყვები და დემონსტრირეს წიგნის იმ გვერდის ტექსტს, რომელიც აკლდა ნაპოვნი სახელმძღვანელოს. შემდეგ, ექსპერტმა აღდგენილი გვერდის ნაწიბური შეადარა სახელმძღვანელოში ამოხეული გვერდის ნაწიბურს.

დამთხვევამ დაამტკიცა, რომ სწორედ ამ წიგნიდან ამოხეული ფურცელი იყო გამოყენებული გასროლილი ვაზნის პიუდაც, ესე იგი გოგიჩაშვილმა გამოიყენა ბოროტი განზრახვით ვაზა. ექსპერტმა დაამტკიცა, აგრეთვე ის, რომ გასროლა ნამდვილად 28 ყალიბის სანადირო თოფიდან მოახდინეს. თოფის ლულის გამოწმენისას, ბამბის ტამპონზე შენეწული იქნა ნაცრისფერი ნივთიერების ფენა, რომლის მიკროსკოპულმა გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ნივთიერება თოფისწამალს წარმოადგენდა. გამოძიებით გამოირკვა, რომ გიორგი გოგიჩაშვილმა ჩუმად გაიტანა ბიძის სახლიდან თოფი; ისიც, რომ სახელმძღვანელო მისი იყო და არა

ბიძამისისა, რომელთანაც იპოვნეს წიგნი. გიორგი გოგიჩაშვილს, ყულუმბეგაშვილის მოკვლის ცდის შემდეგ ჩუმად შეუტანია თოფი და წიგნი ილია გოგიჩაშვილის სახლში. ამ ხერხით შეეცადა დაემალა ბოროტმოქმედების კვალი, აერია იგი და აეცდინა სასჯელი თავიდან. **საქმის შესახებ** ერთი შეხედვით, თითქოს უმნიშვნელო ფაქტობრივმა მასალამ საქსპერტო გამოკვლევას შედეგად გამოძიების საქმეს ასე შეუწყო ხელი და გადაარჩინა სრულიად უდანაშაულო ილია გოგიჩაშვილი მოსალოდნელ სასჯელს.

შემომოყვანილი შემთხვევა ერთ-ერთია იმ მეტად საინტერესო და ნაყოფიერად ჩატარებულ სამუშაოთა რიცხვში, რომლებსაც ეწევა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი კრიმინალისტური ლაბორატორია. ლაბორატორიის რომელიც ტექნიკის უკანასკნელი სიტყვითაა შეიარაღებული, მოძვე რესპუბლიკებიდანაც ეგზავნება გამოსარკვევი მასალები. აქვეა ორი ფოტოლაბორატორია. აქ სრულდება მეტად რთული კრიმინალისტური პროცესები: გადაღებები ულტრაიისფერ და ინფრაწითელ სხივებში, აქ ნახავთ აპარატებს მიკროგადაღებისათვის მლანდავი განათებით, სპეციალიზირებულ გამადიდებლებს, მეტალოგრაფიულ მიკროსკოპებს, რომლებითაც ხდება დამჩნეული კვალის გადაღება, პორტატულ რენტგენოაპარატს და მრავალ სხვა სპეციალურ ხელსაწყოს.

უნებლიედ, ამდენი კრიმინალის გამოსაცნობ იარაღების ნახვისას, უდიდესი პატივისცემის გრძნობა აღგვიტრება მათ მიმართ, ვინც ამ სერიოზულ მუშაობას ეწევა. ეს შრომა რომ მეტად პასუხსაგები და მნიშვნელოვანია, ამას ნათლად დავანახებთ საჩვენებელი საქმეები, რომლებიც გაგვაცნობ ლაბორატორიის გამგემ იურიდ. მეცნ. კანდიდატმა გიორგი ალექსანდრეს-ძე ციმაკურიძემ.

აი, მაგალითად, მის კაბინეტში კედელზე ჩამოკიდულმა თითის კვალის გადაღებულმა ფოტომ მიიქცია ჩვენი ყურადღება. საქმის ვაცნობისას აღმოჩნდა, რომ იგი ეკუთვნოდა ვინმე გამოცდილ ბოროტმოქმედ გოგელიძეს. გოგელიძის ბრალი ედებოდა მასში, რომ იგი იარაღი შეეცადა საკუთარი მამის მოკვლას, რაც ვერ შეასრულა. ამ გადაგვარებულმა „შვილმა“ გაძარცვა რამდენიმე ბინა და საწყობი. გოგელიძე ოსტატურად რევდა კვალს და იმალებოდა. მაგრამ, როგორც იტყვიან, „კოკა წყალს ყოველთვის ვერ მოიტანს“, 1956 წლის 5 აგვისტოს, ქ. კობლეში, კუჭუხიძის ბინის გაძარცვის შემდეგ, ადგილობრივი დათვალიერების დროს აღმოჩენილ იქნა მაგიდის სარკეზე თითის ანაბეჭდის კვალი. კვალ ფოტოგრაფიული წესით იქნა გადაღებული და გადაეგზავნა თბილისის კრიმინალისტურ ლაბორატორიას საქსპერტო გამოძიებისათვის. ექვი გოგელიძე იქნა მიტანილი და გამართლდა კიდევ; დაპატიმრების შემდეგ მისი თითის ანაბეჭდები ზუსტად დაემთხვა ადრე გადაღებულ კვალს.

კრიმინალისტური ლაბორატორია არა მარტო ბოროტმოქმედთა აღმოჩენას და დასჯაში ეხმარება საგამომძიებლო ორგანოებს.

ერთ-ერთი საშუალო სკოლის მასწავლებელს ქსენია ნიკოლოზის ასულ ჯვარშიშვილის სამასხურში, აღმოჩნდა „პრეტენდენტები“. კარგ სპეციალისტს, კეთილხინდისიერ მუშაკს ჯვარშიშვილს უსაფრთხლოდ დასწამეს ცილი სხვისი ატესტატის მითვისებაში. ჯვარშიშვილმა წარმოადგინა ატესტატი, რომელზეც სულ ამოჭრალიყო მელნით ჩაწერილი სახელი და გვარი. ჯვარშიშვილი დაითხოვეს სამასხურიდან. ასეთი უმსგავსო საქციელით აღფოთებულმა ჯვარშიშვილმა მიმართა თბილისის კრიმინალისტურ ლაბორატორიას თხოვნით, დახმარებოდნენ სიმართლის დამტკიცებაში.

და აი, მთელი რიგი რთული ფიზიკური და ქიმიური პროცესების ჩატარების შედეგად, მოქალაქე ჯვარშიშვილის დაუბრუნდა ატესტატი აღდგენილი ტექსტით და დასკვნით, რომელშიც ეწერა, რომ პირვანდელი სახით აღდგენილ ტექსტში არავითარ გადაწერებას და სიყალბეს ადგილი არა აქვს. ჯვარშიშვილი დაუბრუნდა თავის სკოლას.

ლაბორატორია აწარმოებს, აგრეთვე, მეცნიერულ მუშაობას კვლევის მეთოდების სრულყოფისათვის. გამოსცემს სპეციალურ კრებულებს, ბიულეტენებს და მონოგრაფიებს, ატარებს მეთოდურ მუშაობას ლექცია-სემინარების სახით ლაბორატორიის მუშაკებთან.

თ. ციციშვილი

კრიმინალისტურ ლაბორატორიაში



საქართველოს  
ბავშვთა  
საზოგადოებრივი  
ცენტრის  
განცხადება



„ეს არ მოხდება!“ პლაკატი ნ. მაღაზონიასი







ჩემი პატარა მეგობრები



დიდ გზაზე

ჩანახატები გ. თოთიბაძისა



შხაღება  
ოლიმპიადისათვის



შერიგება







ვერ მორიგდნენ... ფერადი ფოტო ვ. ჯეირანოვისა

საქართველოს  
საქართველოს  
ბიბლიოთეკა



ბ. სომარიძე

1958 წლის 30 მაისს სრულდება 40 წელი საერთაშორისო მუშათა მოძრაობის შესანიშნავი მოღვაწის გ. ვ. პლენანოვის გარდაცვალებიდან. მან დიდი როლი ითამაშა რუსეთში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მომზადებასა და განვითარებაში ვ. ი. ლენინის პოლიტიკურ და სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლამდე, ნაყოფიერი მუშაობა გასწია რუსეთში მარქსიზმის გავრცელებისათვის. იყო რა მარქსიზმის გამოჩენილი პროპაგანდისტი, გ. ვ. პლენანოვმა შექმნა პირველი რუსული მარქსისტული ჯგუფი „შრომის განთავისუფლება“, რომელიც მონაღალ ისახავდა მუშათა კლასის ორგანიზაციას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში იგი დაუახლოვდა ნაროდნიკებს, მაშინდელი დედაქალაქის მუშებს და რევოლუციური მუშაობაში ჩაება. ამის გამო მას ერთი წლის შემდეგ ინსტიტუტის დატოვება მოუხდა და იგი გახდა პროფესიონალი რევოლუციონერი. სულ მალე იგი გვევლინება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ენერგიული და გამოჩენილი მოღვაწე რევოლუციურად განწყობილ ხალხის წევრი, როგორც არალეგალური ქურნალის „ხემლია და ვოლის“ რედაქტორი. წერს პროგრამას, პროკლამაციებს და ფურცლებს.

1880 წელს გ. ვ. პლენანოვი მეფის ოხრანის დენის გამო, ტოვებს რუსეთს და საზღვარგარეთ მიემგზავრება, ეწაფება მარქსიზმს და ღრმად ითვისებს მის თეორიას, მონაწილეობას იღებს დასავლეთ ევროპის მუშათა მოძრაობაში და საბოლოოდ თავისუფლდება ხალხსნერი იდეებისაგან. 1889 წელს მან პირადი კონტაქტი დაამყარა პროლეტარიატის დიდ მასწავლებელთან ფ. ენგელსთან.


იყო რა პირველი რუსი მარქსისტი, გ. ვ. პლენანოვმა დაიწყო იდეური ბრძოლა ხალხსნების ხელმძღვანელების ლაღრვის, ტყაჩევის, მიხაილოვსკის და ანარქიზმის სულისამღვმელ ბაკუნინის წინააღმდეგ, ნიღაბი ახადა მათ არაშეცინერულ, ცხოვრების სინამდვილეს მოწყვეტილ შეხედულებებს, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების რეალურ მოთხოვნილებებს.

გ. ვ. პლენანოვის მიერ შექმნილმა „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ ზასულაი, აქსელროდი და სხვები, თავისი ლიტერატურულ-პროპაგანდისტული მუშაობით დიდად შეუწყო ხელი მარქსიზმის გავრცელებას რუსეთში. 1882 წელს პლენანოვმა რუსულ ენაზე თარგმნა კ. მარქსის და ფ. ენგელსის შესანიშნავი შრომა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ კი ფ. ენგელსის ცნობილი შრომა — „ლუდვიგ ფიეირბახი“. ჯგუფის სხვა წევრებმა რუსულად თარგმნეს კ. მარქსისა და ფ. ენგელსის სხვა შრომები.

1883 წელს გამოვიდა გ. ვ. პლენანოვის შრომა „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა“. ვ. ი. ლენინის გამოთქმით ეს იყო პირველი გადმოცემა რუსული სოციალიზმის პრობლემებისა. 1885 წელს გ. ვ. პლენანოვმა გამოაქვეყნა შრომა „ჩვენი უთანხმოებანი“. ამ შრომებში ავტორმა დასაბუთა მუშათა კლასის რევოლუციური პარტიის შექმნის აუცილებლობა; იგი აღნიშნავდა, რომ სოციალისტური მოძრაობა გლეხობის მხრივ აპოვის მხარდაჭერას განსაკუთრებით მაშინ, თუ კი პარტია იბრძობებს მიწის ნაციონალიზაციისათვის. ეს სწორი დებულება შემდეგში პლენანოვმა შეცვალა და იგი უარყოფდა გლეხობის რევოლუციურ როლს. არა გლეხობა, არამედ ლიბერალური ბურჟუაზია უნდა იყოს მუშათა კლასის მოკავშირე რევოლუციაში, აცხადებდა იგი. პლენანოვმა ვერ შესძლო გადაეჭრა მთავარი ამოცანა, რაც მდგომარეობდა მარქსისტული სოციალიზმის მუშათა მოძრაობასთან შეერთებაში. იგი პარტიის საუკეთესო ნიმუშად თვლიდა II ინტერნაციონალის პარტიებს და ცდილობდა ასეთივე სახის პარტიის ჩამოყალიბებას რუსეთში. გ. ვ. პლენანოვმა ძლიერი დარტყმები აგვიტანა ხალხსნების რეაქციული თეორიის კლასობრივი ფესვების არსი და ამის გამო ვერ მოახერხა ამ მიმდინარეობის ბოლომდე განადგურება.

ხალხსნების მთლიანი და საბოლოო განადგურება შესძლო ვ. ი. ლენინმა. მან ღრმად გახსნა ხალხსნების სუბიექტური-იდეალისტური თეორიების საფუძველი, აჩვენა რომ ისინი გამოხატავენ კლასობრივ ინტერესებს, მეცნიერულად დასაბუთა მუშათა კლასის ისტორიული როლი, როგორც ბელადისა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუ-

ციის პერიოდში და განსაკუთრებით სოციალიზმისათვის ბრძოლაში, ყოველმხრივ დაამუშავა პროლეტარული პარტიის ტაქტიკა და საკითხი გლეხობის, როგორც მუშათა კლასის მოკავშირის შესახებ მომავალ რევოლუციაში. ვ. ი. ლენინმა დამატკიცა, ახალი პარტიის შექმნის აუცილებლობა, რომელიც პრინციპულად განსხვავებული იქნებოდა II ინტერნაციონალის პარტიებისაგან და მუშათა კლასის მიიყვანდა გამარჯვებამდე კაპიტალიზმთან ბრძოლაში. ასეთი ტიპის პარტია შექმნეს ვ. ი. ლენინმა და მისმა თანამებრძოლებმა, რომელმაც რუსეთის მუშათა კლასი მიიყვანა მსოფლიო-



ისტორიულ გამარჯვებამდე და პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნამდე.

გ. ვ. პლენანოვს აბოლ კავშირი ჰქონდა დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიებთან და მათ ხელმძღვანელებთან, მონაწილეობას იღებდა II ინტერნაციონალის მუშაობაში და იყო ერთ-ერთი მისი წამყვანი მოღვაწე. მას ფართო პოპულარობა და ავტორიტეტი ჰქონდა მოხვედრის, როგორც მარქსიზმის ერთ-ერთ გამოჩენილ თეორეტიკოსს.

1895 წელს გამოვიდა გ. ვ. პლენანოვის საყოველთაოდ ცნობილი შრომა „ისტორიულ-მონისტური შეხედულების განვითარების საკითხისათვის“, რომელმაც ერთბაშად მოიპოვა დიდი პოპულარობა და ინტერესი. ამ ნაშრომის შესახებ ამბობდა ვ. ი. ლენინი, რომ მასზე აღიზარდა რუსი მარქსისტების მთელი თაობა. ამ წიგნს მოჰყვა „ნარკვევები მატერიალიზმის ისტორიიდან“. მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდათ მარქსიზმის „კრიტიკების“ წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ შრომებში გარჩეული იყო მარქსისტული ფილოსოფიის ყველა ძირითადი საკითხი, აგრეთვე, მარქსიზმადმიერი ფილოსოფიური სკოლების ანალიზი იყო მოცემული. პლენანოვმა აჩვენა, რომ მარქსიზმი არის ბუნებრივი და კანონიერი პროლეტარული მეცნიერების განვითარებისა, იგი წარმოიშვა ადამიანთა აზროვნების მიღწევების საფუძველზე, მაგრამ ამავე დროს იგი ხაზს უსვამდა, რომ მარქსიზმი არის პრინციპულად ახალი შეხედულება ბუნებაზე, ადამიანთა საზოგადოებაზე და მის მამოძრავებელ ძალებზე, კანონზომიერებაზე.

გ. ვ. პლენანოვის ბროშურა „ისტორიაში პიროვნების როლის საკითხისათვის“ არის ბრწყინვალე ნიმუში მარქსისტული თეორიის პრობაგანდისა. პიროვნების ისტორიულ როლს ავტორი სწინს ჩამოედინა ასპექტში, იხილავს არა მარტო გამოჩენილი პიროვნებების როლს, არამედ რიგითი პიროვნებების როლს და ადვილსაც, რომელთა მოქმედების ჯამისაგან იქმნება ხალხის მოძრაობა.

პლენანოვი თანამიმდევრულად ებრძოდა „ეკონომისტებს“, რომლებიც მარქსიზმის აშკარა „რევიზიას“ ეწოდნენ. ვ. ი. ლენინი დადებით შეეკატეხება აძლევდა გ. ვ. პლენანოვის ბრძოლას „ეკონომისტების“ წინააღმდეგ. ვ. ი. ლენინის უშუალო

შეგავლენით პლენანოვი მართალია მოგვიანებით, მაგრამ მაინც გამოვიდა „ლეგალურ მარქსისტების“ სტრუქტურა, ტუგან-ბარანოვსკის ბრძოლამდე წინააღმდეგ.

მარქსიზმის დასაბუთებისა და დანერგვის დაწყებულ 80-იან 90-იან წლებში შრომებში გ. ვ. პლენანოვმა ზოგიერთი პრინციპული საკითხი გადაწყვიტა არასწორად ან არა სულსადა. მაგალითად, იგი აზვიადებდა გეოგრაფიული გარემოს როლს საზოგადოების ისტორიაში. ამა თუ იმ ქვეყნის ბუნებრივი პირობები მას წარმოადგენილი ჰქონდა ფაქტორად, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს ჯერ საწარმოო ძალები, ხოლო შემდეგ მთელი საზოგადოებრივი წყობილება. შემდგომში მისი ეს შეხედულება გადაიხარდა გეოგრაფიულ გადახარბში და მარქსიზმისაგან გადახვევაში.

შემდეგ, პეველის ფილოსოფიის კრიტიკისას პლენანოვი მის მოძღვრებაში ხედავდა რაციონალურ მარცვალს, ხაზს უსვამდა განვითარების კანონზომიერებებს, მაგრამ ვერ აჩვენა თუ რაში მდგომარეობდა არსი გადატრიალებათა, რაც მარქსმა და ენგელსმა მოახდინეს ფილოსოფიაში.

ვ. ი. ლენინმა გენიალურ ნაშრომში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ განსაზღვრა მიხიზმი და სხვა რეაქციული სკოლანი და განავითარა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, საფუძველიანად გააკრიტიკა პლენანოვის აგნოსტიკური თეორიები.

სახელმწიფოს განსაზღვრის საკითხშიც გ. ვ. პლენანოვმა დაუშვა შეცდომა, როცა სახელმწიფოს ზოგიერთ ისტორიულ ფორმას მიაწერდა არაკლასობრივ ხასიათს. არსებითი შეცდომა პლენანოვისა იყო ის, რომ იგი დოგმატურად უდებოდა მარქსიზმს, არ შეხედა უნარი შემოქმედებითად გამოეყენებია მარქსიზმის რევოლუციური თეორია, რასაც განიხილავდა კონკრეტული პრაქტიკისაგან მოწყვეტით, მან ვერ გაიგო ახალი ეპოქის, იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის ვითარება, ამის გამო არასწორი შეფასება აძლევდა 1905-1917 წლების რევოლუციის ხასიათს და მამოძრავებელ ძალებს. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ გ. ვ. პლენანოვი ოცი წლის მანძილზე (1883-1903 წ. წ.) იყო რევოლუციური მარქსისტი, მისი ბრძოლა ხალხსნებისა და ოპორტუნისტების წინააღმდეგ მტკიცე შენაძინია სოციალ-დემოკრატიისა.

პარტიის II ყრილობაზე პლენანოვი ვ. ი. ლენინთან ერთად იბრძოდა. მაგრამ ყრილობას შემდეგ იგი მენშევიკი გახდა. მისი ოპორტუნუზიზმი გამოვლინდა ჯერ ორგანიზაციულ საკითხებში, ხოლო შემდეგ კი და განსაკუთრებით 1905-1907 წლების რევოლუციისა და სოციალისტური რევოლუციის პერიოდში ტაქტიკურ საკითხებშიც.

1908-1912 წლებში პლენანოვი ბევრჯერ განუდგა მენშევიკებს, მერყეობდა ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის. სტოლინის რეაქციის პერიოდში, როცა მენშევიკები დადგნენ პარტიის არალეგალური ორგანიზაციების ლიკვიდაციის პოლიტიკას, გ. ვ. პლენანოვი გამოვიდა მათ წინააღმდეგ და სათავეში ჩაუდგა „მენშევიკ-პარტიელებს“. პარალის კონფერენციის შემდეგ მან უარი თქვა ლიკვიდატორების პარტიიდან გარიცხვაზე, სურდა შეერთებოდა მათ და ოპორტუნისტების სხვა ჯგუფებს. პირველი იმპერიალისტური ომის წლებში პლენანოვი სოციალ-შოვინისტი გახდა, საბოლოოდ მოსწყდა მარქსიზმს.



1917 წელს, თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ იგი დაბრუნდა რუსეთში ემიგრაციიდან, სადაც მან დაჰყო 37 წელი. იყო რა მოწყვეტილი დიქტანს რევოლუციური მოძრაობას, და თავისი ოპორტუნისტული შეხედულებებისა და დოგმების ერთგული, მან ვერ შესძლო სწორად შეეფასებინა რუსეთის საზოგადოებრივი განვითარების რთული თავისებურება. პლენანოვი გამოვიდა სოციალისტური რევოლუციის ლენინური ხაზის წინააღმდეგ და თვლიდა, რომ ბურჟუაზიულმა რევოლუციამ დასაწყისი უნდა მიეცეს რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებას, უარყოფდა რუსეთში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას.

ვ. ი. ლენინი მიუხედავად პლენანოვის შეცდომებისა მოუწოდებდა ახალგაზრდობას, პარტიის ახალგაზრდა წევრებს დაბეჯითებით შეისწავლონ პლენანოვის თხზულებები, როგორც საუკეთესონი მარქსიზმის ლიტერატურაში.

1918 წლის 30 მაისს გ. ვ. პლენანოვი მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა, საბჭოთა ხელისუფლებამ ვ. ი. ლენინის ინიციატივით ბევრი გააკეთა რუსი ხალხის დიდი და სახელოვანი შეილის სახელის უკუდასაყოფად.



ჯაჯუ ჯორჯიკია



და მრავალი სხვა სახელი ჩამოთვა-  
ლა, მასპინძელმა ისეთი გამომეტყ-  
ველება მიიღო, თითქოს ვიღაცას  
ხსენებას ელოდებოდა.

— კიდევ, კიდევ ვინ გყავთ გა-  
მოჩენილი მწერალი?

ქართველი მეხსიერებაში გულდას-  
მით ეძებდა, ხომ არავინ გამოჩნაო.  
მასპინძელმა კარადიდან ლამაზყლი-  
ანი წიგნი გამოიღო და გადაწავა.  
სტუმარი ავტორის პორტრეტს რომ  
დააკვირდა, ქართველს მიამსგავსა.

— ვერა სცნობთ? — შეეკითხა მას-  
პინძელი.

— ვერა! — აიჩივია მხრები ჯარის-  
კაცმა.

— ეს ხომ ქართველი მწერალია,  
ჯაჯუ ჯორჯიკია, ეს მისი მოთხრო-  
ბების წიგნია. ნუთუ ის საქართვე-  
ლოში პოპულარული არ არის, იუგო-  
სლავიაში მისი წიგნი მოწონებით  
სარგებლობს!

ქართველმა ჯარისკაცმა მასპინ-  
ძელს ვერაფერი უბასუხა.

როდესაც ჯარისკაცი, ომის შემ-  
დეგ, დემობილიზაციით საქართვე-  
ლოში დაბრუნდა, მოძებნა ბელგრა-  
დში „გაცნობილი“ მწერალი, რომე-  
ლიც იმ დროს სტალინის სახელო-  
ბის თბილისის პირველი საშუალო

სკოლის დირექტორად მუშაობდა.  
ყოფილია შემოღობა უამბო მწერალს  
მისი წიგნის ბედზე; რომელიღაც ქარ-  
თველ ემიგრანტს, ჯორჯიკიას მოტ-  
რფილეს, წიგნი უცხოეთში წაუღია  
და იუგოსლავურად უთარგმნია.

ახლა რომ ვკითხვით ზოგიერთს,  
იცნობს თუ არა მწერალ ჯაჯუ  
ჯორჯიკიას, შეიძლება, იმ ჯარისკა-  
ცივით გაკვირვებულმა იკითხოს —  
განა გეყავდა ასეთი მწერალი? და  
არც კი იცოდეს, რომ ეს მივიწყე-  
ბული შემოქმედი ხუთი წლის წინათ  
გარდაიცვალა.

ჯაჯუ (კონსტანტინე) ივანეს ძე  
ჯორჯიკია დაიბადა 1885 წელს. უმა-  
ღლესი განათლება მომავალმა მწერალ-  
მა საფრანგეთში მიიღო. ევროპისა და  
აფრიკის ქვეყნების მოგზაობაში  
იგი საქართველოში დაბრუნდა.

1908 წლიდან სიკვდილამდე (1953  
წ.) არ შეუწყვეტია პედაგოგიური  
მუშაობა.

უკანასკნელი 10 წლის განმავლო-  
ბაში მუშაობდა თბილისის სტალინის  
სახელობის პირველი საშუალო სკო-  
ლის დირექტორად.

ჯ. ჯორჯიკიას გამოქვეყნებული  
აქვს ბევრი პედაგოგიური ნაშრომი.  
ჯაჯუმ, როგორც მწერალმა, სახე-

ლი მოხვეჭა მცირე ფორმის, მინი-  
სტურული პროზაული ნაწარმით.  
საფრანგეთიდან დაბრუნებული ამაღ-  
გაზრდა შემოქმედი წმინდა ათავსენ-  
და როგორც თვითონ ამბობდა „ფე-  
რად მოთხრობებს“ ქუთაისის ვახუ-  
შეთებში. უფრო გვიან ეს მოთხრობე-  
ბი დაიბეჭდა „პატარა ჩანაწი“. მისი  
ერთეულები და მოთხრობები გამო-  
შეურდა ორი მომცროსი წიგნის ფურ-  
ცლებზე. აღსანიშნავია, აგრეთვე, პი-  
ესა „ამხანაგობა“, მოთხრობა „ხატის  
ძლიერება“, იტალიაში მოგზაურობის  
სტრუქტურა ალწერა, რომანი „რევიმის  
ყვავილები“ (უკანასკნელი დაიბეჭდა  
ქურნალ „მინაობში“ 1928 წ.), ევ-  
როპაში მოგზაურობის დროს შეკრე-  
ბილი რეაქსამდე ანექლოტი, მანვი-  
ლი გამოთქმები და სხვ.

ჯ. ჯორჯიკიას პატარა მოთხრო-  
ბები თავისი სისადავით, რომანტიუ-  
ლობითა და პოეტურობით ავტორის  
ახრების სიღრმეს გადმოგვცემს, მისი  
დაუშრეტელი გონებასივლიობისა  
და ნარნარი ენის მადლს გვაგაძნო-  
ბენებს.

ჯაჯუ ჯორჯიკია დავიწყების ღირ-  
სი არაა. მისი ნაწარმები უნდა გაი-  
ნოს თანამედროვე მკითხველმა.

ჯიმშერ მუჯირი

ილიკო ქურხული

ილიკო ქურხულმა შემოიარა გერმანია, საფ-  
რანგეთი, ფინეთი, თურქეთი, საბერძნეთი, მაკე-  
დონია, ბოსნია, შერცოვანა (ახლანდელი იუგო-  
სლავია) და ყველაფერი, სადაც კი იყო, ხალხის დიდი  
სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ხალხის  
ყურადღებობა წახალისებული ილიკო, ხან ვიოლი-  
ნოთი, ხან მის მიერვე გაუმჯობესებული ქართუ-  
ლი ხალხური საკრავები — გულდასტვითი, ჩან-  
ვით, ფანდურით, ჩონგურით და ხალაშურით უამ-  
ბობდა ყველას თავის მასშობლოს უკუღმართ  
ცხოვრებაზე წარსულში, მის ბედნიერ მომავალზე.

ი. ქურხული დასახლდა ბულგარეთის ერთ-ერთ  
სოფელში.  
რომ უფრო დაახლოვებოდა ბულგარულ ხალხს,  
მან ზედმიწევნით შეისწავლა ბულგარული ერის  
ისტორია, ენა, ეთნოგრაფია. იგი დადიოდა მუზე-  
უმებში, ეცნობოდა მატერიალური კულტურის ძეგ-  
ლებს, რაც უფრო აზვიავდა მის სიყვარულს ამ  
გმირი ხალხისადმი. თავის მხრივ კი მას მიჰქონდა  
ბულგარულ ხალხამდე ქართული მუსიკის სილიადა  
და ქართული მელოდიის მომავალი მრავ-  
ალხმიანი ჰანგები.

ქართული მუსიკის შესწავლას დაეწაფა ბულგა-  
რული ახლგაზრდაობა. პირველად ამ საქმეს ქურ-  
ხულმა ქალაქ სვილინში ჩაუყარა საფუძველი.

ი. ქურხულმა დასწერა საქართველოს კულტურ-  
ის შესახებ მოზრდილი წიგნი და გამოსცა სო-  
ფიაში ბულგარულ ენაზე 1924 წელს შემდეგი  
სახელწოდებით: „ვარსკვლავთა კაშკაშზე, ბულ-  
ბულთა ენაზე და ლაჟვარდ საქართველოზე.“ თუ  
რა დიდი სიხარული და აღტაცება გამოიწვია  
მომხმე ბულგარულ ხალხში ი. ქურხულის ბულგა-  
რულ ენაზე გამოქვეყნებულმა ამ ნაშრომმა, ამას  
ნათლად მოწმობს წიგნის წინასიტყვაობა, რომე-  
ლიც დაწერილია მისი რედაქტორის სტოიან ბაი-  
როვის მიერ.

„ილიკო ქურხული, — წერს ს. ბაიროვი, — დადის  
მთელ მსოფლიოში და თანაბარი სიყვარულით და  
თანაგრძობით შრომობს ყველა ეროვნებისათვის. არ-  
სად არც ერთ ერისათვის მას უპირატესობა არ მიუ-  
ცია, იმიტომ, რომ მთელი დედამიწა არის მისი სა-  
შობლო და ზედ მცხოვრებნი მისი ძმები.“

საქართველოს, რომელსაც იგი თავის დედას  
უწოდებს, ჩაუნერგავს მის სულში უმაღლესი  
სურვილები და იდეალები ჩაგრული ხალხის  
საკეთილდღეოდ...

გამომცემლობა „ახალ საზოგადოებას“, რომელიც  
ბეჭდავს ამ წიგნს, მთელი გულით სურს მიუძღ-  
ვას იგი განსაკუთრებით თავის თანამოაზრეებს,  
თანამშრომლებს, მოწაფეებს, მასწავლებლებსა და,  
აგრეთვე, ყველას, ყველას, ვინც ეძებს სულის  
გაკეთილშობილებას და ამაღლებას. ი. ქურხული  
დიდი ხანია მუშაობს ხალხში, რუსეთში მას ძა-  
ლიან აფასებენ, უყვართ და ამაყობენ კიდევ.  
ილიკო არის მსოფლიო სახალხო მუსიკოსი და  
იმდენადვე ეკუთვნის ბულგარეთს, რამდენადვე  
ეკუთვნის საქართველოს. დეე, ჩვენც მივიღოთ,  
დავაფასოთ და შევიყვაროთ იგი, ჩვენც მივიღოთ  
ჩვენი ხელი ყველა ამგვარი ბრწყინვალე და უმაღ-  
ლესი იდეალების მოციქულებს.“

ამ წიგნის 3000 ეგზემპლარი ი. ქურხულს  
თავისივე ხელით გაუვრცელდება ხალხში.

ეს წიგნი შეუძენია სიყაბის მთქმელ „მეც-  
ნიერს“ სავა პოპოვს, რომელიც ბარბაროსებს  
უწოდებდა ქართველებს, და დარცხვნილი მისუ-  
ლა ქურხულთან, ორივე ხელი შემოურტყამს თავ-  
ში და ცრემლმორიულს უთქვამს, რომ იგი შეე-  
დომაში შეუყვანია საქართველოს წინააღმდეგ  
ტენდენციურად განწყობილ ელიემენტებს ბულგა-  
რეთში.

სავა პოპოვს მოუბოდიშებია და დაპირებია  
ი. ქურხულს, რომ თავის შემდგომი მოღვაწეო-  
ბის პერიოდში ის არასოდეს ამ შეცდომას არ  
გაიმეორებდა, ამასთან გამოუთქვამს სურვილი,  
რომ ქურხულს მისთვის ქართული მუსიკა გაეცნო.  
სავა პოპოვს ქართული ხალხური პოლიფონიური  
მუსიკა ისე მოსწონებია, რომ განცვიფრებულს  
ანაწლელულად წამოუძახნია: ჭეშმარიტად ამისთანა  
რთულ და მდიდარ მუსიკას ველურები ვერ შექ-  
მნიდნენ, ეჭვს გარეშა, რომ საქართველო დიდი  
კულტურული მხარე ყოფილაო, შემდეგ პარალე-  
ლი გაუვლია და უთქვამს, ამ საკითხში ჩვენ  
უფრო ჩამორჩენილი ვყოფილვართ, ვინაიდან  
მხოლოდ ერთმხრვანი ხალხური მუსიკა გვაქვს და  
ისიც გამოურკვეველი, რადგანაც არ ვიცით,  
რომელია ბულგარული, რომელია მაკედონური  
და რომელია სერბიუ-  
ლიო.

ამ წიგნით მოხიბ-  
ლულმა პროფესორმა  
პეტკო ცონენმა მიიწვია  
ქურხული უნივერსი-  
ტეტში და თავისი სა-  
ლექციო საათები ფი-  
ლოლოგიის ფაკულტე-  
ტის მეოთხე კურსზე სა-



ქართველოს მუსიკის და კულტურის გაცნობას და  
შესწავლას დაუთმო. შინაარსიანა წიგნმა, მიიპყრო,  
აგრეთვე, მეორე ცნობილი ბულგარელი მოღვაწისა  
და პედაგოგის მიხეილ გერასკოვის ყურადღე-  
ბა, რომელიც ბულგარულ ოფიციალურ წრე-  
ებში ხობდა ასხამდა უკვე ცნობილ და სახელ-  
მოსხვეჭილ ქართველ მუსიკოსს, მომღერალს, პედა-  
გოგს, მწერალს და მკვლევარს ილიკო ქურხულს.  
მისივე დაუნიებო ქურხული დანიშნული იქნა  
ხარმანლის პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებელში  
მუსიკის მასწავლებლად. ამ პატრიოტულ ფაქტს  
ბულგარეთის განათლების სამინისტროც აღტაცებით  
შეხვედრია.

ილიკოს ღვაწლი ბულგარეთში მარტო ქართული  
კულტურის გავრცელებით არ ამოიწურება, იგი  
ცნობისმოყვარე ბულგარულ მოსახლეობას აცნო-  
ბდა მსოფლიო მუსიკოსების — ბეთოვენის, მოცარ-  
ტის, ბახის, ლისტის, შუბერტის, მახენეს, გრიგის,  
შოპენის, გლინკას, ჩაიკოვსკის და სხვათა ნაწარ-  
მოებებს.

ლეონარდ ჯულაბაშვილი



ილიკო ქურხული

Музыка, будучи искусством самими объектив-  
ным, всегда служила только человеку. для инсти-  
та же она была какой-то недостижимой мечтой.  
Между тем, так-ли это должно быть?  
Не должна ли музыка, так, как и поэзия, быть до-  
стоинством действительно искусства?

ილიკო ქურხული მუსიკალურ-საგან-  
მანათლებლო პროპაგანდას ეწევა ჰე-  
ტერბურგის მუშებს შორის.



# ოთარი ელის მსახურს...



მერაბ მელითაძე

ინჟინერი ხარაშვილი გაკვირვებული და ნაწყენი დასცქეროდა პატარა ოთარს, ხოლო ოთარი, არა ნაკლებ გაკვირვებული და კიდეც უფრო განაწყენებული შესცქეროდა მამას.

ხარაშვილი გაკვირვებული იყო იმით, რომ ოთარმა, რომელიც მეხუთე კლასამდე მეცნიერების ყველა სიბრძნეს ასე კარგად და ზუსტად ითვისებდა და დედ-მამის საამაურო მოწაფე იყო, ახლა, უცებ ისეთი სისულელეების ლაპარაკი დაიწყო, რომ ინჟინერმა სინანულით ხელი ჩაიქნია:

— მოიცა, მოიცა რა სისულელეებს ლაპარაკობ... ოთარი ჯერ შეცბა, მერე გაწითლდა და მამას შებედა:

- სისულელეს კი არ ვამბობ, ასეა...
- იცი, რა გითხრა, ოთარ, პატარაობაში ერთმა ჩემმა ამხანაგმა იცოდა ხოლმე რამეს რომ აურევდა, იტყოდა: „ჩემ წიგნში ასე წერია“—ო.
- ოთარს გაეხარა:
- დიდა, მამა, ჩემ წიგნში ასე წერია...
- ზო, სწორედ ასე ამბობდა...
- არა, მამა, მე მართლს გეუბნები — აი, თუ გინდა —

ნახე... ხარაშვილმა ამოიხვნეშა, გაიკეთა სათვალე და გაიფიქრა — „არა, ასე არ შეიძლება, ბავშვს მეთი უურადლება უნდა მივაქციოთ, თორემ...“

— აი, აქ წაიკითხე... ხარაშვილმა წაიკითხა, მერე შუბლზე ხელი მოისვა, კიდეც წაიკითხა, გაწითლდა და კიდეც წაიკითხა... არა, არ მოეჩვენა... წიგნში გარკვეულად ეწერა: „სსრ კავშირში ზამთრობით თითქმის ყველა ცივა, მზე შუადღითაც კი ჰორიზონტზე დაბლა მდებარეობს“.

— აი, ხომ ხედავ, მამა... ვხედავ, კი ვხედავ, მაგრამ შენ თვითონ უნდა გესმოდეს, რომ თუ მზე ჰორიზონტზე დაბლა, მაშასადამე ჰორიზონტის იქითაა, მოკლედ რომ ვთქვათ — მზე ჩასულია, ხოლო თუ მზე ჩასულია — მამ დამეა, ხოლო თუ დამეა, მამ შუადღეც ვერ იქნება... აქ ხარაშვილი შეჩერდა და გაიფიქრა, რომ მისი მსჯელობა, მხოლოდ ეჭვს ბადებს პატარა ოთარის გულში... და კიდეც უფრო გაბრაზდა.

— იცი, ოთარ, იქნებ რამე შეცდომაა... აბა ერთი, ჩაიკითხე, შენი მეგობარი ვიქტორი ხომ რუსულ სკოლაში სწავლობს, მისი წიგნი ამოიკითხე...

— სისულელეა, მაგრამ... ამბობდა ხარაშვილი და წიგნს ათვალიერებდა „ი. ი. ზასლავსკი და ტ. პ. გერა-სიმოვა... ფიზიკური გეოგრაფია... დაწყებითი კურსი... საშუალო სკოლის V კლასის სახელმძღვანელო... მესამე გამოცემა... თარგმანი დამტკიცებულია სსრ განათლების სამინისტროს მიერ... არა, ყველაფერი რიგზეა... ამასობაში ოთარმა რუსული წიგნი მოარბენინა.


— ქართულ წიგნში 81-ე გვერდზეა, რუსულში აქვე იქნება... აი, 76-ე გვერდიც: „Почти везде в СССР зимой холодно, солнце даже в полдень стоит низко над горизонтом“... აი, რაში ყოფილა საქმე! — „Стоит низко над горизонтом“... სიტყვა-სიტყვით უთარგმნათ: „მზე... ჰორიზონტზე დაბლა მდებარეობს“.

— სისულელეა! იცი, ოთარ, რას გეტყვი — ახლა მაინც გვიანაა, დაწევი და ხვალ დილას ყველაფერს ავიხსნი...

...ხარაშვილმა წინ დაიღო ორივე წიგნი, მოუკიდა პაპიროსს და კითხვა დაიწყო.

გვიან იყო როდესაც წიგნი ბოლომდე ჩაათვა — რედაქტორის, ტექნიკური კორექტორების გვარები კიდეც ერთხელ გადაათვალიერა... წიგნი 1957 წელს მესამედ იყო გამოცემული — 85.000 ცალის ტირაჟით და, ცხადია, რომ 100.000-ზე მეტი, აი ასეთივე პატარა, 11-12 წლის ბიჭები და გოგონები გულდასმით იზიარებდნენ, რომ „ზამთრობით მზე ჰორიზონტზე დაბლა მდებარეობს“, რომ „დღე-ღამის განმავლობაში დღე-ღამე ყოველთვის არ ენაცვლება, არამედ გრძელდება კვირების და თვეების განმავლობაში“, რომ „ზოგიერთ ადგილებში წყალი მიწის ქვეშ თითქმის მარწყუბებშია მოქცეული“...

მთელი წიგნი თარგმნილია ბიუროკრატიული მიწერ-მოწერის ჩიქორთულით. მთარგმნელის სამუშაო მაგიადა უჯდა არა პედაგოგი, რომელიც ხატოვანი ენით ცდილობდა დაინტერესოს მოწაფე ბუნების დიადი მოვლენებით, აღძრას ბუნებისადმი სიყვარული, არამედ მოხე-



ლე, რომელიც ჩქარობს მორიგი მიმართვით პასუხი გაცეს „ზემდგომ ინსტანციას“...

ბავშვების საყვარელი წარმტაცი მეცნიერება გეოგრაფია, ბიუროკრატის ხელით გადათარგმნილ იქნა „შემოსული და გასული ქაღალდების“ საკანცელარიო ფორმულებით.

თუ საჭიროა ითქვას, რომ — „მეზღაურები აჯანყდნენ“, — გეოგრაფი — საქმისმწარმოებელი — წერს — „გემის შემადგენლობაში ადგილი ჰქონდა ამბოხებებს“ (გვ. 70).

პოლუსზე 4 კაცი კი არ გადმოსვებს, არამედ „პოლარელების ჯგუფი 4 კაცის შემადგენლობაში“ (გვ. 6).

პრუვეალსკის მოგზაურობათა აღწერილობათა კითხვა კი არ უყვარდა, არამედ „მოგზაურობათა შესახებ არსებული წიგნების კითხვა“ (გვ. 4) მოგზაურები კი არ მოგზაურებენ, არამედ „ატარებენ მოგზაურობას“ (გვ. 71). ხარაშვილს გაახსენდა თავისი ბავშვობა, როგორ უყვარდა გეოგრაფიის გაკვეთილები, როდესაც შესანიშნავი პედაგოგის დავით დონდუას გაკვეთილებიდან გამოდიოდნენ და თვალწინ ედგათ ის სურათები — პედაგოგმა, რომ დაუხატა: მათ თვალწინ ქუხდა და გრგვინავდა შორეული ნიაგარის ჩანჩქერი — ინდიელმა რომ „მქუხარე წყალი“ შეარქვეს... აქ კი, ამ წიგნში ნათქვამია, რომ „ნიაგარას ინდიელები მორახრახე წყალს უწოდებენ“.

მასწავლებელი აღწერდა მთების სიდიადეს და მათ წინაშე აიშარებოდნენ მძლავრი მთავრები და ბუმბერაზი ქედების მწვერვალები. აქ — კი, მთიანი ქვეყანა — „მთებისა და ქედების დიდი დაგრძობა“, იგი „მთების გროვებს“ წარმოადგენს, სადაც ნაცვლად მწვერვალებისა „წვეროები“ აღიმართებიან (გვ. 84), ხოლო ფერდობზე შეფენილი ფარის ნაცვლად „ცხვარია, რომელიც თავისუფლად დალოდავს კალთებზე“, ხოლო შიშკინის ცნობილი სურათი „ტყის სივრცეები“ — „ტყის სიშორეებადაა“ გადაქცეული.

მთარგმნელებს არც გამოცემლები ჩამორჩნენ, და რაც მთარგმნელებმა დააკლეს, ახლა გამოცემლობის მუშაკებმა დაუმატეს. მე-16-ე გვერდზე წერია „ნაბიჯებს ჩვეულებრივ წყვილად თვლიან. ნაბიჯს იწყებენ მარცხენა ფეხით, ხოლო თვალს (?) აწარმოებენ მარჯვენა ფეხზე“ — რა უნდა გაიგოს კაცმა? მით უმეტეს, როდესაც ეს კაცი 11-12 წლისაა და არაფერი გუგება იმი-სა, რომ არსებობენ ძიები და დიედები, რომლებმაც მესამე გამოცემაშიაც ვერ მოახერხეს შეცდომის გასწორება... ან რას დაუჯეროს — იმას, რომ „28 ივნისს მზე ზენიტში იმყოფება, ჩრდილო განედის 28 ნახევარ გრადუსზე (იხ. სურათი 78)“ — თუ „იბილოს სურათი“ — წაიკითხოს მის ქვეშ „დედამიწის მდებარეობა 22 ივნისს“ და დაიჯეროს რომ მზე 22 ივნისსაა ზენიტში?

თენდებოდა, როდესაც ხარაშვილმა უკანასკნელი სტრიქონები ჩაიკითხა, დაბურა წიგნი და მწარე ფიქრებს მიეცა: — აი, დიდაც. პატარა ოთარი ელის დაპირებული ახსნა-განმარტებას — მაგრამ, რა უნდა უთხრას — ის, რომ სპიროსი საქმე ცოდნასა და სიყვარულს მოითხოვს, რომ საჭიროა დაკისრებული მოვლეობის პირნათლად შესრულება და პასუხისმგებლობის შეგნება... მაგრამ, პატარა ოთარს, ხომ სრულიად არ ესაქმება, რომ არსებობენ ჯერ კიდევ უპასუხისმგებლო ადამიანები, რომლებიც სახელდახელოდ თარგმნილ მეთაფე თუ მესაფე გამოცემას ამჯობინებენ, ვინც თავის ტენას კარგი, სტაბილური სახელმძღვანელოს შესაქმნელად...

პატარა ოთარს და მის ასი ათას ამხანაგს არც ის ესაქმება, რომ ვიღაც ძიები სახელდახელოდ თარგმნიან, სხვა ძიები — სამინისტროში ხელს აწერენ და კიდეც სხვა ძიები — გამოცემლობაში შეუმოწმებლად მრავალათასიან ტირაჟად ავრცელებენ ამ ნახელავს...

ოთარმა და მისმა ამხანაგებმა, მხოლოდ ის იციან, რომ მათ სჭირდებათ კარგი სახელმძღვანელო, სადაც ზუსტად, გასაგებად, კარგი ქართულით ჩამოყალიბებული იქნება დებულებები, რომლებიც არავითარ ეჭვს არ გამოიწვევენ...

ინჟინერმა ხარაშვილმა, ალბათ, მაინც უპასუხა რამე პატარა ოთარს, მაგრამ ეს პასუხი ხომ უკვე გამოსულ წიგნს ეხებოდა, ოთარის მაგივრად — კი ახლა ჩვენ შევეკითხოთ იმ ძიებს — რომელთაც ენებათ ეს საქმე — განათლების სამინისტროს და გამოცემლობებში — რას გააკეთებენ ისინი იმისთვის, რომ მომავალში მაინც არ გაემორღეს ასეთი სახელმძღვანელოების გამოშვება? ოთარი ელის პასუხს.





ლაიბადა საინტერესო თემა.




\*  
\* \*

ასე მიმდინარეობდა მესამე კურსელთა სპეც-სემინარი ნარკვევში სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ურნალისტიკის განყოფილებაზე.

ჩვენს რესპუბლიკაში პროფესიონალ ურნალისტთა სიმცირემ დააყენა უნივერსიტეტში ამ განყოფილების გახსნის საკითხი. და აი, 1949 წელს, სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტთან შეიქმნა ურნალისტიკის განყოფილება, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა

*საქართველო*

ფოტო ო.თ. თურქიასი



მომხსენებელს ყურადღებით უნდა მოუსმინო, რათა შენიშვნები საფუძვლიანი და ობიექტური იყოს. ეს აუცილებელია, როგორც თანაკურსელების, ისევე ლექტორისთვისაც. მარცხნივ ლექტორი ნ. ჩხეიძე.

ახალგაზრდა ურნალისტთა კადრების მომზადება.

მიმდინარე წელს უნივერსიტეტი ურნალისტთა მეხუთე ნაკადს გამლუშვებს. გაზეთის ეს მომავალი მუშაკები სამუშაოდ მიემართებიან საქართველოს რაიონებში. დღემდე განყოფილება ასზე მეტმა ახალგაზრდამ დაამთავრა, თითქმის ყველა წარმატებით მოღვაწეობს რესპუბლიკის სხვადასხვა ურნალ-გაზეთებში.

ნარკვევს სახელად ერქვა „დედა“. მასში დახატული იყო შვილის ბედნიერებაზე მზრუნველი მშობლის პორტრეტი. ნაშრომი არცთუ ისე ცუ-

დად იყო დაწერილი, მაგრამ თანაკურსელებმა დაუნდობლად გააკრიტიკეს ავტორი — ბიძინა მახარაძე.

ზედიზედ გამოდიოდნენ:

ლიანა თოდუა — „ჯერ ერთი გასარკვევია, რა დაწერა ბიძინამ, ნარკვევი თუ თვგადასავალი. მაგრამ რა უნარსაც არ უნდა მივაწეროთ, ერთი რამ ცხადია, ნაშრომი უხერხემლო და ზოგან ყალბია. განსაკუთრებით დაუჯერებელია ფინალი. განა შეიძლება...“


თენგიზ შველიძე — „გაქიანურებული თხრობა, მაღალფარდოვანი და ბრტყელ-ბრტყელი მსჯელობანი, იაფფასიანს ხდის ნარკვევს. არა მგონია, რომ ასე მსჯელობდეს თვრამეტი წლის ახალგაზრდა, შვილი — დედაზე.“

ნარგიზა მგელაძე — „მე მინდა აღვნიშნო ავტორის სტილისტური შეცდომები: რა ქართულია „წვეთ-წვეთად წვიმს“. „გულში ამოიოხრა“...“

ლექტორი — „კიდევ ვის სურს აზრის გამოთქმა?“

მართალია, მეოთხეკურსელები ჯერ კიდევ არ გამოსულან „დიდ ასპარეზზე“, მაგრამ პირველი ნათლობა მათმა უმრავლესობამ უკვე მიიღო რესპუბლიკის სხვადასხვა ურნალ-გაზეთებში, სადაც ისინი ათავსებენ თავიანთ „ნამოღვაწის“.

აი, დღესაც: — „ახალგაზრდა კომუნისტში“ თანაკურსელის წერილია.



*საქართველო*



მომავალ პრესის მუშაკებს სწავლის ხუთი წლის მანძილზე საშუალება ეძლევათ პრაქტიკულად გაეცნონ შურნალ-გაზეთების განყოფილებათა მუშაობას, გაზეთის გამოშვების ტექნიკას, ოპერატიულ საქმიანობას, ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაც მათ დასჭირდებათ მომავალში საბასუხისმგებლო და რთულ სამუშაოზე.

გარდა ზოგადი, აუცილებელი კურსისა, მომავალ შურნალისტებს ეკითხებათ საბჭოთა ქართული და რუსული, საზღვარგარეთის პრესის ისტორია. ამასთან, ისინი გადიან „სუფთა შურნალისტურ“ დისციპლინებს: ფელეტონს, ნარკვევს, სტენოგრაფიას, ფოტორეპორტაჟს, მანქანაზე ბეჭედვას და სხვ.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტ ცოდნასა და გამოცდილებას მათ პრაქტიკა აძლევს. სტუდენტები ჯერ მრავალტირაჟიან გაზეთების მუშაობას ეცნობიან, ხოლო მებუთე კურსს საწარმოო ექსკურსიით ამთავრებენ მოსკოვის ცენტრალურ გაზეთებში.



ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა კინემატოგრაფიული სისწრაფით და სიზუსტით აღბეჭდა ფირზე ბიძინა მახარაძის საბოლოო სიტყვა. კადრები ისე ზუსტად გამოხატავს მის განწყობილებათა ცვლას, რომ ჩვენი აზრით, ახსნა-განმარტება არ სჭირდება.

\* \*

ლექტორი: „მაშ, არავის უნდა აზრის გამოთქმა?“

ვახტანგ ულენტი — „მე სრულებითაც არ მომეწონა ნარკვევი“...

ლექტორი — „კერძოდ, რა არ მოგეწონათ?“

ვახტანგ ულენტი — „ვერ გეტყვით... იმდენად არ მომეწონა, რომ შენიშვნების მიცემაც მეძნელება“.

თემო ფაფერაშვილი: — „მე არ ვეთანხმები ზოგიერთების გამოხვლას. სტილისტური შეცდომები და გაჭიანურებული თხრობა გამოსწორდება, რაც მთავარია, ბიძინას დაკვირვებული თვალი და შურნალისტური აღღო აქვს“.


ნანი დარჩია — „...საქმე იმაშია, რომ ბიძინასაგან მეტს მოველით, იმიტომ ვეპყრობით ასე მკაცრად მის ნაშრომს“.

ბოლოს თვითონ ავტორი გამოვიდა და, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე ასეთ შემთხვევებში, ზოგიერთი შენიშვნა გაიზიარა, ზოგიც უარყო და, რა თქმა უნდა, მადლობა გადაუხადა ამხანაგებს ნარკვევის საფუძვლიანად გარჩევისათვის.

უკანა მერხზე განცალკევებით იჯდა ახალგაზრდა ლექტორი ნოდარ ჩხეიძე. იგი გულისყურით უსმენდა ახალგაზრდების გამოხვლებს. დასასრულს წამოდგა, მოკლედ გაუკეთა დასკვნა, როგორც ნარკვევს, ისევე გამოსულ სტუდენტების შენიშვნებს, ხოლო შემდეგ ნარკვევის სპეციფიკასა და ხასიათზე ილაპარაკა.

\* \*

ამ სემინარის სტენოგრაფიული ჩანაწერი ლექციის დამთავრების შემდეგ, გვათხოვა ერთ-ერთმა სტუდენტმა. შეიძლება იგი ზუსტად არ გადმოგცემდეს ლექციის მსვლელობას, მაგრამ იმედია, რომ უნივერსიტეტის კურსის დამთავრების შემდეგ თვითმული მათგანი კარგად იქნება დაუფლებული, როგორც ნარკვევის შინაარსს, ასევე სტენოგრაფიასა და სხვა შურნალისტურ „ატრიბუტებს“.



*Handwritten signature in large, bold Georgian script.*

პრესის მუშაკთა მომავალი კადრების მომზადების საქმეს ხელმძღვანელობენ რესპუბლიკური პრესის გამოცდილი მუშაკები: გიორგი ჯიბლაძე, ილია ნატროშვილი, გიორგი მერკვილაძე, იოსებ ბოცვაძე, ტარიელ კვანჭილაშვილი და სხვები.

მაგრამ შურნალისტური სიმართლე მოითხოვს აღინიშნოს, რომ მომავალ პრესის მუშაკთა აღზრდის საქმეში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია.





როსტომ ბეჟანიშვილი მოთხრობა

ლილოს სანახებიდან რომ გამოიშინდებოდნენ და ლოკინისხევეს თავზე წამოადგები, უცებ, შენ თვალწინ, დედამისი შუაგულიდან, სინათლის ზღვა ამოტივტივდება. ელნათურები ისე მკაფიოდ ციმციმებენ, თითქოს საცაა, ხელს მოავლებ და შემფრთხალი ციციანთლებივით მუჭაში ჩაიმწყვდეო. ამ ყვითლად ატორტმანებულ ზღვასთან მეცხვარის ბოხობა ქუდივით აღმართულ მთაწმინდას, წითელი ნათურებით მოჩითული კოშკი მხარზე შემოულდგამს და თეთრ, მსუბუქ ღრუბელს ეთამაშება.

გადასახლებულაო. ეს ჩვენ გვაკრობდა და გვაშფოთებდა.

მანქანა ხავსმოღებულ, გლუვ ლოდებზე უსწორ-მასწორად მიგორავდა, ხან აქეთ აყირავდებოდა, ხან იქით.

ირგვლივ ნარნარი ღამე და უსასრულო, გამჭვირვალე ცა დამშუქებია. გზაზე, აქ-იქ, შემხვედრი მანქანის სინათლე გაიცმციმებს და მერე ყველაფერი მიჩუმდება. იქვე, მოჭრილ ხესთან კრიტიკონობელა შემადლულა და ღამეს ახშიანებს. რიყიდან მხურვალე ალი ცემს, გათვრებულ ლოდებს მისი მცხუნვარება შემოუნახავს და ბუნებას მადლს უკანვე უბრუნებს.

შოფერს ჩვენთან დავა მობეზრდა, მანქანაში ჩაჯდა და სულ მალე წყლის ხმაური მოგვესმა. წყალი მანქანის ბორბლებს გაფთრებული ეჯახებოდა, მაგრამ მისი სიმძიმით შეშინებული უკან იხევდა, გაწიწმებულ გარშემო ურბენდა, ძარაზე მიძვრებოდა, ძრავშიც უნდოდა ჩაპარვო, რათა იგი ჩაეჭრო და ჩვენ შუა წყალში გაეჭრებოდა. ვხედავდით, ვხედავდით ლოკინის მუხანათობას, გვაგონდებოდა, რამდენი მანქანა გაფუჭებულიყო და ჩალამულყო აქ...

ნაპირს მივადექით, მაგრამ მანქანამ ხერხემალი ვეღარ აიტანა. წყალს ნაპირი ჩახერხებინა, ჩამოექცია, მისი გული გამოექაშა. საქონელი ადიოდა, მაგრამ ფეხს ვერ იკიდებდა, წყალში უკანვე ცვიოდა, აუღლო, რბილი მიწა მათ სიმძიმეს ვერ უძლებდა. ხარებს მუხლები გადაეყვლიფათ, დაილაღნენ. მაშინ შოფერმა წყალს მანქანა თავვეე „დაბარუნებინა“, ძარა ნაპირს გაუთანასწორა და ჩვენ რის ვავიგალახით მყარ მიწაზე გადავედით.

პირწმინდად გამომშრალი, საქონლის ენით გამოლოკილი ლოკინი ისე განაბულა, ისეთ ნებიერ თვლიანსა და ძილბურანს მისცემია, თითქოს, არა-აღიღეს, უბედურების ბაიბურაც არ გაუგიაო. მე კი მაგონდება ერთი ამბავი, როცა ლოკინის ხილზე ვდგავარ და აკაშაშებულ თბილისს გავცქერო.

სანამ ნაპირზე ვყავით, შოფერს წასასვლელად ვაქეზებდით, მაგრამ როცა წყალში მოვხვდით, თავით ფეხებამდე ცივმა ურუნტებელმა დაგვიარა და გამჭოლვად დაგვეცხლა. მივხვდით, უბედურებას აღარაფერი აქლდა, ჩვენ ბეწვის ხილზე ვიდექით და ყოველ წუთს მის ჩაწყვეტას ველოდით.

კაბინიდან მთლად გალუმებული და შეციებული შოფერი გამოძვრა. — ვა, სულ დამიტვრა ეს ოხერი, „ხაუნის“ რაკუთხრა — წუწუნებდა იგი.

ორმოკლდარი წლის ზაფხული იყო. ომი მძვინვარებდა. მამაკაცები ფრონტზე მიდიოდნენ.

ახტე მოხდა. ნიღვარმა მოტორის ძალუმად დაპკრა და ჩააჩუმა. შოფერი ამოდ ცდილობდა მანქანა კვლავ „აენთო“, კირის ოფლს იწმენდა, ხმადაბო იგინებოდა. მანქანა ჩუმი და უმოძრაო გახდა. ხევისწყალმა ძარას პირველი ლოდი მიაგლო და ფერდი ჩაუღეწა. ფეხებზე ცივმა წყალმა გადაგვიარა. მანქანა დაწანწარდა. ლოკინი ჩვენს ჩალამავს იწყებდა.

— ნაპირთან არ არის საშიში, — ჩაილაპარაკა უცნობმა, — წყალი მანქანას ვერ წილღებს, დილამდე მანდ იყოს, მერე ტრაქტორს მოუბამთ... ჩვენ ყველანი უცნობს შემოვხვებით. ვინაობა ვკითხეთ.

მანქანაში, რომ იტყვიან, ნემსი არ ჩავარდებოდა. ამას არავინ ჩიოდა ოღონდ, როგორმე, თბილისამდე ჩაეღწიათ.

მოულოდნელმა უბედურებამ გავგოცა. გავშრით და იღუმალი შიშით გამტკნარებულგებს ხმის ამოდების სახსარი წავგვერთვა. მაგრამ წყალმა მანქანას მხსერევა რომ დაუწყო, მაშინ კი ვიგრძენით, რომ ხევი გვეწირავდა და ყვირილი დავიწყეთ.

— მენახირე ვარ, თქვენი კირიმი, — თქვა მან. — დამიღამდა, ფონი ვეღარ ვიპოვე და საქონელი გამოღმა შემოვჩრი. გათენდება და მეც სოფელში წავალ.

ზაფხული იყო, ახალი ნაწვიმარი, მინდვრებიდან ნოტიო ქარი უბერავდა. თვალბში გვეცემდა, ლოყებს გვიკარავდა, ისე მწარედ იკბინებოდა, თითქოს სახეში, მუჭით, გამხმარი ეკალი შემოუყრიათო.

გაღმიდან ვილაც გამოგვეხმაურა. ჩავჩუმდით და ყური მივუგდეთ.

ერთმანეთს არ ვაცდიდით მადლობას, ზოგმა ხილი მისცა მენახირეს, ზოგმა პური. მერე, ერთ-ერთი ჩვენთაგანი შეექითხა. — თბილისი კიდევ შორსაა, დილამდე ჩავალთ? — შორს რად არის გენაცვა, ეგებ ქალაქი! — ბნელში ხელი გაიშვია მენახირემ.

მგზავრები ჩუმად იყვნენ. ცივი ქარი და მანქანის ფუჟავი არაფრად მიაჩნდათ, რადგან აქამ მინდვრებზე, მშვიდობა იყო. იქით კი, კაკა-ხიონგადაღმა ქვემეხები ქუხდა. მტერი ჯიქურ მოიწვედა საქართველოსკენ.

არ შემიხსენებოდა, ხარებს შემოვიყვანი... — ყვიროდა ვილაც.

— რომ არ ჩანს? — როგორ გამოჩნდება, შე კაი კაცო, არ იცი, რომ მთელ ქალაქში შუქშენილვავა, ცაში გერმანელები დაფრინავენ...

მანქანამ ლილოს სანახებიდან გამოიშინდვრა, ლოკინისხევეს თავზე წამოადგა. ჩვენ დაუინებით ვიყურებოდით, მიდამოს ვაშტერდებოდით, ნაცნობ ადგილებს ვეძებდით, მაგრამ ვერაფერს ვცნობდით. წინ — ბნელი და უძირო ღამე იყო.

გვეგონა, ირგვლივ ძესულიერი არ ჭაჭანებდა და აღამიანის ხმა რომ გავიგეთ, ამან უფრო ტკბილი და ძნელად დასათმობი გავვიხდა სიცოცხლე.

— როგორ ჩახნელებულა თბილისი, — დაიკვირესა ვილაცამ. — ნუ გეშინია, დრო მოვა, ისევ გაჩახახებულნი იქნება, — გაემჩანენ ერთმანად.

— ნუთუ გზას ავციდით? — ვეკითხებოდით მგზავრები ერთმანეთს. შოფერს კი ვერაფერს ვეუბნებოდით, რადგან გზაში მანქანას საბურავი ორჯერ დაეშვა და შოფერი გაცეცხლებული იყო.

წყალგაღმა ოთხი ბრილა სინათლე აკაფდა. ეს სინათლე მუშტის ოღენად ციმციმებდა და სანამ ზედ არ წამოგვადგა, ვერ მივხვდით, რა იყო. უცნობმა ღვარცოფში ხარები შემოიღალა, მხსვილი ჯაჭვი მანქანას გამოაბა და ომანიად შესჭყავდა.

— ეგა, — ბნელში ჩუმი ოხვრა გაიწურა. ტვირთმოკიდებული, დარღიანი აღამიანები, მთელი ღამე, მძიმე ნაბიჯით მიდიოდნენ ქალაქისაკენ.

გაჩუმება ვარჩიეთ და ბედს მივედეთ. ბნელი, უმთვარო ღამე, ნოტიო ქარი სხეულზე ძალუმად გუხვევოდა, პირიდან სიტყვას გლეჯდა... რატომღაც თავი უბედური და განწირული გვეგონა.

წყალგაღმა ოთხი ბრილა სინათლე აკაფდა. ეს სინათლე მუშტის ოღენად ციმციმებდა და სანამ ზედ არ წამოგვადგა, ვერ მივხვდით, რა იყო. უცნობმა ღვარცოფში ხარები შემოიღალა, მხსვილი ჯაჭვი მანქანას გამოაბა და ომანიად შესჭყავდა.

— როგორ ჩახნელებულა თბილისი, — დაიკვირესა ვილაცამ. — ნუ გეშინია, დრო მოვა, ისევ გაჩახახებულნი იქნება, — გაემჩანენ ერთმანად.

ლოკინი ჩაივავკეთ და უცებ მანქანა გაჩერდა. ერთბაშად ჩამოვარდნილ მყუდროებაში ადიდებული ხევისწყლის დგაფუნი გარკვევით მოისმა.

პირველი ბიძგიც ვიგრძენით, ძალიან ყრულ, შეუმჩნევლად, იმტომ რომ მანქანა შლამში ღრმად იჯდა და სწორედ მისი დაძვრა იყო საძნელო.

— ეგა, — ბნელში ჩუმი ოხვრა გაიწურა. ტვირთმოკიდებული, დარღიანი აღამიანები, მთელი ღამე, მძიმე ნაბიჯით მიდიოდნენ ქალაქისაკენ.

შოფერი კაბინიდან გადმოვიდა და აქეთ-იქით უნუგეშოდ მიმოიხედა.

სინარულმა ფრთები შეგვასხა. — აბა, ნიკორა! შენ ქედს დავენაცვლე!.. წყალი გვეცემდა და გვაბრუნებდა. გახლებული ხან წინიდან წამოგვიბენდა, ხან უკანიდან, ხან ქვეშ გავვიძვრებოდა, ან, ბრაზით ქაფმყერილი თავზე გადაგვახტებოდა. გაშმაგებული ტრაილებდა, უნდოდა როგორმე შევეჩერებინეთ, ჩავემარხეთ.

ლილოდან რომ გამოიშინდებოდნენ და ლოკინს თავზე წამოადგები, გონია, რომ უკვე შინა ხარ. შენ წინ სინათლის ზღვა ალივლივდება.


— დიდი წყალია, ვერ გავალთ! — ჩაილაპარაკა მოკვეთილად. მანქანა აწუწუნდა. საცა ამდენი ვიწვალეთ, წყალში გასვლისა როგორ გვეშინიაო... ორ ნაბიჯზეა თბილისიო...

მაგრამ ხარები წინ ყოჩაღად მიიწვედნენ და მათი პატრონიც, ეტყობა ტალკეხა ბიჭი იყო.

მთაწმინდას წითელი ნათურებით მოკაშმული სატელევიზიო კოშკი მხარზე შემოულდგამს და ეთერთან უშიშრად საუბრობს. ლოკინიდან ჯერ ეს კოშკი გამოჩნდება ხოლმე, მერე ათასნაირად გაჩირაღდებული ქალაქი, და, ხოლოს, მისი გარეუბნები.

თბილისი კი არ ჩანდა. თვალებს ვაქუყტდით, თავს ძალახ ვატანდით, მაგრამ ჩვენ წინ მხოლოდ შრუმე სიბნელე და საშიში მყუდროება იყო. თითქოს მთელი ქალაქი აბარგებულა და სადღაც

ლოკინიდან რომ გამოიშინდებოდნენ და ლოკინს თავზე წამოადგები, გონია, რომ უკვე შინა ხარ. შენ წინ სინათლის ზღვა ალივლივდება.






მსოფლიოს სამოცდაათმდე ქვეყნის მეცნიერები დედამიწის რამდენიმე ათასწლეულ წერტილში ერთდროულად აწარმოებენ გეოფიზიკურ დაკვირვებებს მესამე საერთაშორისო გეოფიზიკური წლის პროგრამით.

საბჭოთა კავშირის მეცნიერებსა და მათ შორის საქართველოს მეცნიერებს დიდი წვლილი შეაქვთ ამ მნიშვნელოვან საერთაშორისო ღონისძიებაში.

ჩვენმა თანამშრომელმა მიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან ჩამოყალიბებულ საუწყებთათმხრობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, საქართველოს გეოფიზიკური ინსტიტუტის დირექტორს ალექსანდრე ბუნჩიკაშვილს რამდენიმე კითხვით, საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებების მონაწილეობის შესახებ ამ საერთაშორისო გეოფიზიკური წლის პროგრამით გათვალისწინებულ დაკვირვებებში.



ღამის ცის ნათების შესწავლა ატმოსფეროს ზედა ფენების კვლევის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. ატმოსფეროს ზედა ფენები (70 კილომეტრის ზევით) გამოასხივებს სუსტ სინათლეს, რომელიც ამ ფენების შემადგენელი გაზების ნათებსა წარმოადგენს. ამ ნათების შემჩნევაში ძირითადი მხოლოდ დამოუკიდებელი ცაზე, ისიც განსაკუთრებულად მგრძობიარე ხელსაწყოების — ფოტოელექტრული ფოტომეტრების საშუალებით. აბსოლუტური მონიტორინგის დაზღვევითაა საგანგებო ელექტროფოტომეტრი — რომელიც ამ დაკვირვებების დიდი სიზუსტით წარმოების საშუალებას იძლევა. ამ საშუალოს ფიზიკა-მათემატიკის კანდიდატი თამარ მეგრელიშვილი აწარმოებს.

სტრატოსფეროში ოზონის რაოდენობის განსაზღვრას გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი შალვა ჩხაიძე აწარმოებს.

გამოკვლევათა და დაკვირვებათა

# საქართველო-საერთაშორისო გეოფიზიკური წლის მონაწილე

**კითხვა:** საქართველოს რომელი სამეცნიერო დაწესებულებები იღებენ მონაწილეობას ამ დიდი ღონისძიების ჩატარებაში?

**პასუხი:** საქართველოს ტერიტორიაზე გეოფიზიკური წლის დაკვირვებათა ძირითადი მონაწილეა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტი, აბსოლუტური ასტროფიზიკური ობსერვატორია და საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველო.

**კითხვა:** დუშეთის გეოფიზიკური ობსერვატორია ფართოდაა ცნობილი არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც, ვთხოვთ, უფრო დაწვრილებით გვიამბოთ მისი მონაწილეობის შესახებ საერთაშორისო გეოფიზიკური წლის დაკვირვებებში.

**პასუხი:** დედამიწის ზედაპირის ყოველ წერტილს ახასიათებს მკვნიტური ძალის ელემენტების (ვერტიკალური და ჰორიზონტალური მდგენელები, მიხრიალობისა და დახრილობის კუთხეები) მნიშვნელობა, რომელიც დამოკიდებულია ამ წერტილის გეოგრაფიულ მდებარეობაზე. გეომაგნიტური ველი დედამიწის ცვალებად ნაწილისაგან შედგება, — მუდმივი — დედამიწის შიგნით მოქმედი პროცესებითაა განპირობებული, მეორე — ცვალებადი ნაწილი, დამოკიდებულია დედამიწის გარეთ მიმდინარე პროცესებისაგან — ატმოსფეროს ზედა ფენებში არსებული ელექტრული დენებისაგან.

დედამიწის ქერქში მოძრაობენ მეტად სუსტი ძალების ე. წ. მიწის ანუ ტელურული დენები. მათი ძალა განიზომება ამპერის მეტილიონედი ნაწილებით. მიწის დენებსა და მკვნიტურ ელემენტების ცვალებად ნაწილებს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. ფიქრობენ, რომ ან მიწის დენები წარმოადგენენ მაგნიტური ველის წარმოშობის მიზეზებს, ან პირიქით.

მაგნიტური ველის დედამიური ცვალებადობა საქმალ კარგადაა შესწავლილი. ამ დაკვირვებებს აგერ უკვე ას წელზე მეტია აწარმოებს დუშეთის გეოფიზიკური ობსერვატორია. იგი 1844 წელსაა დაარსებული. ჯერ მუშაობდა თბილისში, შემდეგ გადატანილ იქნა კარსანში, ხოლო შემდეგ დუშეთში — დღეს იგი ერთ-ერთ ცნობილ მეცნიერულ დაწესებულებას წარმოადგენს. ახლა მის ტერიტორიაზე განლაგებულია მაგნიტური ობსერვატორია, დედამიწის ელექტრული დენების შესწავლელი სადგური და სეისმური სადგური. აქვე მუშაობს ჰიდრომეტეოსამსახურის

საქართველოს სამმართველოს მეტეოროლოგიური და ატმოსფეროს ელექტროობის სადგურები.

ამგვარად, დუშეთის გეოფიზიკური ობსერვატორიაში წარმოებს დაკვირვებათა ვრცელი წყება — დაწესებული დედამიწის ელემენტებისა და გეომაგნიტური ველების შესწავლა, — გათვალისწინებული სეისმური და მეტეოროლოგიური მოვლენებისა და ატმოსფერული ელექტროობის შესწავლით.

ობსერვატორია აღჭურვილია საგანგებოდ აგებული უახლესი აპარატურით — ზოგი მოვლენების დაკვირვებები განუწყვეტლივ მიმდინარეობს, მაგალითად, გეოელექტრულ შემფოთებათა შესწავლა და რეგისტრაცია ხდება განუწყვეტლივ, ხაზისოდ აგებულ პავილიონებში დადგმულ საგანგებო აპარატურით — ერთ-ერთ ასეთ აპარატს წარმოადგენს პროფ. კალაშნიკოვის ფლუქსომეტრიული დანადგარი. იმისათვის, რომ წარმოიდგინოთ ამ დანადგარის მასშტაბი — საკმარისია იცოდეთ, რომ, მაგალითად, გეომაგნიტური ველის მოკლდერილიდან რყევითაა ვერტიკალური მდგენელის მისაღებად — დედამიწაში 70 სანტიმეტრის სიღრმეზე ჩაფლულია საგანგებო კაბელებისგან შემდგარი ჰორიზონტალური წრედი — რომლის დიამეტრი 200 მეტრს შეადგენს.

ობსერვატორიის თანამშრომლები ენერგიული და მონდომებული მუშაობის შედეგად, ვასული ათი თვის განმავლობაში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა დაკვირვებათა თუნდაც მოკლე დროით შეწყვეტისა. მიღებული მაგნიტოგრაფები და ელექტროგრაფები იგზავნება საერთაშორისო გეოფიზიკური წლის მასალათა დამუშავებულ ცენტრებში. შეიძლება ითქვას, რომ დუშეთის გეოფიზიკური ობსერვატორიაში დედამიწის მაგნიტურ ველზე და ელექტრულ დენებზე სანიმუშო დაკვირვებები სწარმოებს.

**კითხვა:** ვინ აწარმოებს ამ დაკვირვებებს?

**პასუხი:** გეომაგნიტურ დაკვირვებებს ხელმძღვანელობს ამ საქმის ვეტერანი საქართველოში პროფესორი მ. ზ. ნოდია — და ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატები ნინო კაციაშვილი, გიორგი ბერეგიანი, ნათელა ზეველიძე და სხვები. გეოელექტრულ გამოკვლევებს ხელმძღვანელობს უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ვარლამ ქეზულაძე, არსენ ლაშხის და სხვების მონაწილეობით.

**კითხვა:** წარმოებს თუ არა კოსმოსური სხივების შესწავლა?

**პასუხი:** კოსმოსურ სხივებს შეისწავლის თბილისის კოსმოსური სხივების სადგური, რომელსაც ხელმძღვანელობს მეცნიერი თანამშრომელი ვასილ ქოიავა. განუწყვეტელი დედამიური ფოტონანწერების მიღება ხდება ე. წ. საიონიზაციო კამერის საშუალებით. გასული წლის 1-ლ ოქტომბრიდან, უახლოეს ხანებში ეწყობა კოსმოსურ სხივების შესადასხვა მდგენელთა ვარიაციებზე დაკვირვებები უახლეს ხელსაწყოებით — კუბური ტელესკოპისა და ნეიტრონული მონიტორის საშუალებით. ეს დაკვირვებები საბჭოთა კავშირის მხოლოდ რამდენიმე პუნქტშია მოწყობილი, ამიტომ დიდ ინტერესს წარმოადგენს ამ დაკვირვებებს საერთო ხელმძღვანელობას უწევს გეოფიზიკის ინსტიტუტის ატმოსფეროს ფიზიკის განყოფილების გამგე ფიქ. მათ. მეც. დოქტორი ა. გ. ბალაბუგი.

**კითხვა:** რა დაკვირვებები წარმოებს აბსოლუტური ასტროფიზიკური ობსერვატორიაში?

**პასუხი:** აბსოლუტური ასტროფიზიკური ობსერვატორიაში მზის აქტივობის ღამის ცის ნათებს, და ატმოსფერულ ოზონს.

მზის აქტივობის შესწავლას განსაკუთრებით დიდი პრაქტიკული და სამეცნიერო მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც მზე დედამიწის სინათლისა და სითბოს ერთადერთი წყაროა, ხოლო 1958 წლის დაკვირვებებს კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვთ, რადგან ეს წელი მზის აქტივობის მაქსიმუმს თანხვედა.

აბსოლუტური ასტროფიზიკურიაში საგანგებოდ აგებულია კოპი მბრუნავი გუმბათით, სადაც დადგმულია ახალი ხელსაწყო მზის შესასწავლად ფოტოსფერულ-ქრომოსფერულ ტელესკოპი, რომელიც სპექტრომოსკოპ-მელიოგრაფთან ერთად საშუალებას იძლევა სისტემატურად ხედავდეს მზის ქრომოსფერული აფეთქებების შესწავლა. ამ მოვლენას დიდი მნიშვნელობა აქვს მზის აქტივობის მოვლენების შესასწავლად და იმ პროცესების გამოსაკვლევადა, რომლებიც ხდება დედამიწის ატმოსფეროს ზედა ზონებში მზის გამოსხივების გავლენით. ამ დაკვირვებებს აწარმოებს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ნოდარ რაშაძე.

გარდა ამისა ატმოსფეროს ზედა შრეების შესასწავლად — წარმოებს დაკვირვებების ვრცელი წყება — ღამის ცის ნათებზე, ოზონის შემადგენლობაზე, ცვალებადობაზე და სხვ.

**კომპლექსური მეთოდი,** უახლესი აპარატურის გამოყენება და უანობის მითის (სადაც მოთავსებულია აბსოლუტური ობსერვატორია) განსაკუთრებით გამჭვირვალე ატმოსფერო საშუალებას იძლევიან დაგროვდეს დიდძალი ძვირფასი მეცნიერული მასალა. ამ დაკვირვებების საერთო ხელმძღვანელობა ობსერვატორიის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ევგენი ბარაძე.

**კითხვა:** რა დაკვირვებებს აწარმოებს ჰიდრომეტეოროლოგიური სამმართველო?

**პასუხი:** სამმართველო ანბორციულად დაკვირვებათა ვრცელ პროგრამას:

თბილისში — ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიისა, აეროლოგიური და ავიამეტეოროლოგიური სადგურებში, და სოხუმში I თარგიის აგრომეტეოსადგურისა და აეროლოგიური ზონდირების სადგურში — ყველა ეს სადგურები აღჭურვილია უახლესი აპარატურით და საშუალება აქვთ სისტემატურად და განუწყვეტლად აწარმოონ დაკვირვებანი ყველა მეტეოროლოგიურ ელემენტებზე — ამ საშუალოში ჩაბმულია ჰიდრომეტეოსამსახურის მთელი ქსელი.

დასასრულდ, მინდა აღვინიშნო, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მესამე საერთაშორისო გეოფიზიკური წლის პროგრამის მიხედვით წარმოებულ დაკვირვებათა შედეგად დაგროვილი დიდძალი მასალა, საშუალებას მისცემს საქართველოს მეცნიერებს შეიტანონ თავისი წვლილი ბუნების კანონზომიერებათა გამორკვევაში.



ფოტოზე (ზემოთ): დუშეთის გეოფიზიკური ობსერვატორია. პროფ. მ. ნოდია (მარცხნივ) და უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ნ. კაციაშვილი დედამიწის მაგნიტური ველის ჰორიზონტულ მდგენელს განსაზღვრავენ. ქვემოთ: კოსმოსური სხივების ლაბორატორიაში. უფროსი ტექნიკოსი გედეგან თათრულიძე საიონიზაციო კამერის მაჩვენებლებს იყურს.





მეოცე საუკუნის დასაწყისში თბილისის გუბერნიის თავდაზნაურობის თხოვნით მეფე ნიკოლოზ მეორემ საქართველოში ჩამოსვლის სურვილი გამოთქვა.

ბრწყინვალე წოდება დაუყოვნებლივ შეუდგა სამზადისს.

გადაწყდა, გვირგვინისათვის თვითმპყრობელი რომელიმე სოფელშიაც წაყვანათ.

ასეთ ადგილად დიდი ფეოდალის — მამუკა ორბელიანის სამფლობელო სოფელი ვაშლოვანი იქნა აპირებული.

ხუმრობა ხომ არ იყო, იმპერატორი უნდა სწევოდა ორბელიანს!

შეუდგნენ ახალი სახლის აგებას. მარაბდის, კოდის, მუხათის, ლოუბნის, ბორბალოს, ერთიანისა და ვაშლოვანის გლეხებს დღე და ღამე გაასწორებინეს და მალე მშენებელი შენობა, საუკეთესოდ მორთულ-მოწყობილი გადამოადგა ზემოდან, არა მარტო ვაშლოვანს, არამედ ზემოდასახელებულ სოფლებსაც.

დღესაც შეხედვით თითო-ორთაა გლეხს, რომელსაც ახსოვს ამ შენობის აგება.

ჩვენი ხარკამეზები და ძალ-ღონე ამ სახლის აშენებას შეეწირა, — გვითხრა ამ 30 წლის წინათ ვაშლოვანის მკვიდრმა მოხუცმა ისაკა ხალულაშვილმა და უხმოდ თავის დაქვეით და მუშტის მაგრად მოკუმშვით ისე დაემუქრა ვილაცას, იფიქრებდით მოხუცი ანგარიშის გასასწორებლად ემზადებათ.

— მაგრამ არა უშავს, — წაიჩიფიფა დაბალი ხმით, — მადლობა ღმერთს, ამასაც მოვესწარი, იმ სახლში ხელმწიფეს რომ უნდა ეცხოვრა, ახლა აპა, ამოდენა ბაღები იზრდებიან, და შერე როგორ, — და მან ხელი გაიშვირა აყრიმულებულ გოგო-ბიჭებისაკენ. ისინი დაქვრბანას თამაშობდნენ მარადმწვანე მცენარეებით, უზარმაზარ ქაღირებითა და ცაცხვებით დამშვენებულ ეზოში, რომელსაც ის საგანგებოდ აგებული სახლი ამშვენებს.

იმჯერად საქართველოში მეფის ჩამოსვლის გეგმა ჩაიშალა სხვადასხვა მიზეზთა გამო.

მეფის ჩამოსვლელობამ პირში ჩალა გამოავლო ჩვენს თავდაზნაურობას, მხოლოდ ვაშლოვანისა და ახლომხლოს სოფლების მოსახლეობაში ამ ამბავს არავითარი მწუხარება არ გამოუწვევია. ამაზე ბევრი რამ გვიამბო მოხუცმა ისაკამ, რომელიც საპატრიო სტუმრად ითვლებოდა განსვენებულ ფალოპე მახარაძისთან ერთად 1927 წლის 8 მარტს ვაშლოვანის საბავშვო სახლის გახსნის ზეიმზე.

ბევრი რამ კარგი თქმულა და დაწერილა ამ 31 წლის მანძილზე ვაშლოვანის საბავშვო სახლის შესახებ, ბევრის ყურადღება მიუქცევია ამ სახლს, სადაც კარგადაა დაყენებული უღელმამოდ დარჩენილ ბავშვთა აღზრდა-პატრონობისა და სწავლავანათლების საქმე.

ვაშლოვანის საბავშვო სახლის აღზრდილები სასახლო მსწავლებლებად ითვლებიან, არამცთუ ამავე საბავშვო სახლში, არამედ სხვა სასწავ-

ლო-სააღმზრდელი დაწესებულებებშიაც. მათ შორის არის: მარიამ ზაქარაის ასული მიქელაძე, რომელმაც სპეციალური განათლების მიღების თანავე დაიწყო ექიმის თანაშემწედ მუშაობა მის აღმზრდელ ვაშლოვანის საბავშვო სახლში.

ვაშლოვანის საბავშვო სახლში საექიმო მომსახურება უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა, სანიტარული წესები კარგადაა დაცული, როგორც შენობაში, ისე ეზო-გარემოში სინამუშო სისუფთავეა, აღსაზრდელთა შორის პირადი ჰიგიენის საკითხი საკვებით მოვარაგებულია და ა. შ., ამას ხელს უწყობს არა მარტო ის გარემოება, რომ საბავშვო სახლს კეთილმოწყობილი სამრეცხაო და აბანო გააჩნია, არამედ ისიც, რომ ექიმის თანაშემწე მარიამ მიქელაძე თავდადებით და ენერგიულად საქმიანობს.

ვაშლოვანის საბავშვო სახლის აღზრდილები: ნორა მარკოზაშვილი, ცილა შარშიაშვილი და ლამარა სამანიშვილი, როგორც აღსაზრდელთა, ისე თანამშრომელთა სული და გული არიან და კეთილსინდისიერი მუშაობით ასრულებენ ნაყისრ მოვალეობას.



18 წელია აქ აღმზრდელად მუშაობს ლოლა ჭყუასელი. ვარდა იმისა, რომ ლოლა საქმის მცოდნე და ყველასათვის საყვარელი პიროვნებაა, ის წლების მანძილზე საბავშვო სახლის მუშა-მოსამსახურეთა ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარეცაა და ამ უზანუცე დიდ აქტიურობას იჩენს.

გასული წლის განმავლობაში ვაშლოვანის საბავშვო სახლმა დამხმარე მეურნეობიდან მიიღო 14,400 კილოგრამი ხილი, 1800 კილოგრამი ხორცი, 5500 კილოგრამი ხილი, 4500 ცალი კვერცი.

მართალია ვაშლოვანის საბავშვო სახლის აღზრდილები ძირითადად სასოფლო-სამეურნეო დარგიდან იღებენ შრომითი ჩვევებს (გასულ წელს, სხვათა შორის, 6000 ძირი ვაზი ღარგეს), მაგრამ არ შეიძლება არ ვახსენოთ ის მშენებრივად მოწყობილი კრა-კერვის სახელოსნო, სადაც ნაყოფიერ საქმიანობას ეწევიან გოგონები.

არჩილ საგანაშვილი, რომელიც 15 წელია დირექტორად მუშაობს ამ სახლში, კარგი ხელმძღვანელი და გულსხმიერი მუშაკია. განსაკუთრებით ჩუმი, ფუტკარივით წყნარი და უბრეტენიო თანამშრომელია, ოლია მენთეშაშვილი. თუ ჩვენს საბავშვო სახლს ყოფილ აღსაზრდელბთან მუდმივი კავშირი აქვს და ამ კავშირის ის კარგად და ნაყოფიერად იყენებს, ამაში ყველაზე მეტად სასწავლო-სააღმზრდელი ნაწილის გამგეს ოლია მენთეშაშვილს უნდა ვუძღვლოდეთ, გვითხრა დირექტორმა. არჩილი ნათქვამით არ კმაყოფილდება და კითხულობს იმ უამრავ წერილს, რომელსაც საბავშვო სახლის თანამშრომლები დებულობენ აქ აღზრდილებისათვის. მათი დიდი უმრავლესობა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა უბანზე სასახლო მუშაკებად ითვლებიან და მადლობით იგონებენ მათ აღმზრდელ ვაშლოვანის საბავშვო სახლს.

არკ. ხუნდაძე



საქართველოს საბავშვო სახლების მშენებელი  
 ს. ხაჩიძის სახელი  
 1957-58 წლებისთვის  
 7 და 8 ივნისს დაიწყო მშენებლობა

### სომხური თეატრი 100 წლისაა

9 ივნისს სტეფანე შაუმიანის სახელობის თბილისის თეატრში დიდი საზეიმო საღამო ჩატარდა.

იგი მიემდგვნა სომხური რეალისტური თეატრის 100 წლისთავს.

საზეიმოდ მორთულ სცენაზე ისხდნენ სომხური თეატრის მსახიობები, თბილისის თეატრების გამოჩენილი ოსტატები, ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები და სტუმრები მოსკოვიდან, ერევნიდან...

ზეიმი მიმდინარეობდა ქართველი და სომეხი ხალხების ტრადიციული მეგობრობის ნიშნის ქვეშ.

ერთი საუკუნის მანძილზე თბილისის სომხური თეატრს თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის სომხური სცენის ოსტატთა აღზრდასა და სომხური რეალისტური დრამატურგიის შექმნასა და განვითარებაში. აქ მოღვაწეობდნენ გ. ჩიმიშკიანი, პ. ადამიანი, სირანუში, ო. აბელიანი, ვ. ფაფაიანი და მრავალი შესანიშნავი ოსტატი სცენისა.

აქ იღვებოდა გაბრიელ სუნდუკიანის რეალისტური პიესები.

თბილისის სომხური თეატრის აღორძინებას



დიდი ინტერესით შეხვდა ქართველი საზოგადოება. მაშინდელმა პრესამ გულთბილი წერილები მიუძღვნა ახალი თეატრის პირველ საქმეებს. ქართულ და სომხურ თეატრებს შორის განმტკიცდა მეგობრობა. თარგმნიდნენ და დამიდნენ ქართველი და სომეხი ხალხების ცხოვრების ამსახველ პიესებს. ხშირად ქართულ სცენაზე გამოდიოდნენ გ. ჩიმიშკიანი, პ. არაქსიანი და გ. მირაღიანი. სომხურ სცენაზე კი ეპიზოდურ როლებს ასრულებდნენ ვასო აბაშიძე, ანდრო ადამიძე და ნიკო გოცირიძე.

თბილისის სომხური თეატრს მუდამ შეჰქონდა თავის რეპერტუარში ქართველი დრამატურგების პიესები, როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე. იგი ამით ცდილობდა სომეხი ხალხისათვის კიდევ უფრო ახლობელი გაეხადა მოძვე ქართველი ხალხის ცხოვრება.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კიდევ უფრო დიდი სარბიელი მიეცა თბილისის სომხური თეატრს. აღიზარდა მსახიობთა ახალი თაობა, თეატრში მოვიდა დრამატურგთა ახალი კადრები და უფრო ღრმა შინაარსი მიეცა ქართული და სომხური თეატრების ოსტატთა ურთიერთობას.

საქართველოს დედაქალაქში სომხური თეატრი ქართველი ხალხის შეუწელებელი ყურადღებით სარგებლობს, ეს თეატრი დღეს უფრო ნაყოფიერად ემსახურება მოძვე ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობის საქმეს.

ფოტოზე (ზემოთ): მხატვრული კითხვის მასწავლებელი ამავე სახლის გაზრდილი ნორა მარკოზაშვილი. ქვემოთ (მარცხნიდან მარჯვნივ): სამშარტულოში მორიგეობს ჯულიეტა ვართანოვი. სახლის მკეტს აკეთებს ზაიტა სულმანოვი, ქარგავს ნაოულა თვაური.



# რვა თვე პიესნაში

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ბორანი წითელ მდინარეზე.



## ბ. ბულიაშვილი ტექნოლოგი

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თხოვნით ვიეტნამში გაემგზავრა ჩაის მრეწველობის ქართველ სპეციალისტთა ჯგუფი. ჯგუფში შედიოდნენ: ლ. ბარბაქაძე, გ. სანაია, ა. გ. ჭყონია, ვ. დვალი, გ. სარჯველიძე, კ. ლაზიშვილი და ამ სტრუქტურის ავტორი.

ხუთი დღის მგზავრობის შემდეგ ჩავედით ვიეტნამის დედაქალაქ ხანოიში.

1945 წლის ორი სექტემბერი დაუვიწყარი თარიღია ვიეტნამელთა ცხოვრებაში. ამ დღეს ოფიციალურად გამოცხადდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა. ვიეტნამში მოიზარა კოლონიალიზმის უღელი. იქ ახლა მტკიცედ აშენებენ სოციალიზმის დასაფუძვლებს და საზღვარგარეთელი სპეციალისტების დახმარებით შენდება მრავალი ფაბრიკა-ქარხანა, იზრდება მუშათა კლასი.

ვიეტნამის დედაქალაქ ხანოიში ვინახულეთ შეხანიშნავი სასახლე, რომელშიც ცხოვრობდა ფრანგი გუბერნატორი, იქ ამჟამად მოთავსებულია პრეზიდენტის რეზიდენცია.

ხანოი სამ დიდ ტბაზე გაშენებული ქალაქია. ყველაზე დიდ ტბას, რომელიც ქალაქის ცენტრში მდებარეობს, ეწოდება „ამართული მახვილის ტბა“, მის ცენტრში აშენებულია პატარა ტაძარი მებაღურის პატივსაცემად, მან ლეგენდის თანახმად, ტბაში იბოვა მახვილი, რომლითაც განდევნეს ჩინელი იმპერატორი.

პროვინცია ფუტოში, სადაც აშენებულია ჩაის ფაბრიკები, ძალიან გულთბილად მიგვიღეს და დაგვამხივეს ბამბუკის სახლებში. მალე გავცანით ორ უზარმაზარ ფაბრიკას, რომლებიც ააშენეს და დაამონტაჟეს ქართველმა სპეციალისტებმა, პ. კუპრაძის, აკიშბაიას და დემურიშვილის ხელმძღვანელობით. ჩვენს მოვალეობას შეადგენდა ფაბრიკის ექსპლუატაციაში შეყვანა და ვიეტნამელი სპეციალისტებისათვის გამოცდილების გაზიარება.

ვიეტნამი ტროპიკული ქვეყანაა, მცხუნვარე მზე და დიდი სინეტიტე ჰქმნის საუკეთესო პირობებს, რომ მიღებულ იქნას მაღალხარისხის ჩაი, მაგრამ ეს ჯერჯერობით არ არის მიღწეული. იქ არ ხდება პლანტაციების გასხვლა, ნიადაგის

განოყიერება, ჩაის ბუჩქი თითქმის ველურ მდგომარეობაშია. გარდა ამისა, კრეფენ უხეშ ჩაის ფოთოლს. ყოველივე ამას ემატება ისიც, რომ ჩაის გადამუშავება კუსტარული, ეგრეთ წოდებული „ჩინური წესით“ ხდება: ფოთლის მწვევ ღნობა, ბრევენტის ტომრებში გრება და ნახშირის ალზე გახმობა, ყველაფერი ეს ძალზე სცემს ჩაის ხარისხს. ახლად აგებული უზარმაზარი ჩაის ფაბრიკები მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით. რვა თვის განმავლობაში ვიეტნამელებმა საკმაოდ შეისწავლეს აგრეგატების გამოყენება და ჩაის გადამუშავების უახლესი ტექნოლოგია, რომელიც კარგად არის ჩამოყალიბებული პროფესორ ზოლაშვილის ტექნოლოგიის სახელმძღვანელოში. ეს ნაშრომი დიდი პოპულარობით სარგებლობს ჩინეთში და გამოცემულია, როგორც უმაღლესი სასწავლებლის სახელმძღვანელო.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თითქმის ყველა დანადგარი და აგრეგატი დამზადებულია თბილისის ორჯონიძის სახელობისა და ბათუმის მანქანათმშენებელ ქარხნებში.

ვიეტნამელები განსაკუთრებით აღტაცებულნი იყვნენ აგრონომ მარდალენიშვილის მიერ შექმნილი ხანმოკლე ღნობის აგრეგატით. ჩატარებულ იქნა ლექციები ჩაის პლანტაციების მოვლა-დამუშავებისა და ტექნოლოგიის შესახებ.

ჩაის ამ ორი უზარმაზარი ფაბრიკის ამუშავებამ დიდი ინტერესი გამოიწვია, როგორც ადგილობრივ კერძო მეწარმეთა, ასევე საზღვარგარეთლებს შორისაც; თითქმის ყოველკვირა მოდიოდნენ დელეგაციები, ექსკურსანტები და ცალკე პირები, ეცნობოდნენ ჩაის ფაბრიკების მუშაობას და ერთხმად აღიარებდნენ ჩაის ფაბრიკული წესით გადამუშავების დიდ უპირატესობას.

7 აპრილს მასპინძლებმა მიგვიპატიეს დღესასწაულზე „ვიეტნამის ლეგენდარული წარმოშობა“. ლეგენდის მიხედვით ვიეტნამი გაჩინა გველეშაპმა. მოეწყო გრანდიოზული კარნავალი, მონაწილენი მოათამაშებდნენ უზარმაზარი გველეშაპის ბუტაფორებს.

არასოდეს დაგვავიწყდება ოცი მაისი, ხანოიდან



ბრტყელირიან ნავებით.



ვეფხვის მოკლა ბამბუკებით ჯუნგლში.



თევზაობა იმხედრებული მახვილის ტბაში.



სურათების გამოფენაზე ორი მნახველი ანგელოზის სურათთან შეჩერდა. — ხედავთ, ანგელოზს ფეხზე ექვსი თითი აქვს. ნეტავ რომელმა სულელმა დახატა? გინახავთ განა ექვსთითიანი ანგელოზი? — ჰკითხა ერთმა მეორეს. — მე ხუთთითიანიც კი არ მინახავს, — მიუგო მან.

გამყიდველმა პატარა მუშტარს ქოთანში თაფლი ჩაუსხა და უთხრა: — აი, ბიჭო, ორმოცდათი ფენინგისაა. ფული სად გაქვს? — ქოთანში, — მიუგო ბავშვმა.

ერთი კაცი რკინიგზის საღაროსთან მივიდა. — შეიძლება, ქალიშვილო, ერთი ბილეთი? — სთხოვა მან მოლარეს. — სად გნებავთ? — ჰკითხა მან. — ჯერ მიჩვენეთ, აბა, რა ბილეთები გაქვთ, — უთხრა კაცმა.

კურტი გამგზავრების წინ მეგობარს შეეყარა. — ციურისში მიდხარ, არა? — უთხრა მასპინძელმა, — ექ ერთი კარგი სახტუმროა... — მან სახელი ვეღარ გაიხსენა და მეორე ოთახში ცოლს გასძახა: — ლუიზა, აბა, ერთი პირსახოცებზე ნახე, რა ჰქვია ციურისის იმ სახტუმროს, ჩვენ რომ ვიყავით?

ზოპარკში მისული ქალ-ვაჟი ერთ გალიასთან შეჩერდა. — ფრიც, ახლა ამ ვეფხვებს ლაპარაკი რომ შეეძლოთ, ნეტავ რას იტყოდნენ? — ჰკითხა ქალმა. — იმას იტყოდნენ: ქალიშვილო, ჩვენ ვეფხვები კი არა, ლომები ვართო, — უთხრა ფრიცმა.

გარეკანის პირველ გვერდზე: თბილისის ზღვაზე. ფერადი ფოტო ი. ხალოპისა მეოთხე გვერდზე: „ქუპა-ქუპა“. ფერადი ფოტო გ. თიანაძისა.

ერთ ახლად აგებულ ეკლესიაში ის იყო ზარი მიიღეს, როდესაც იმ მხარეს ორმა მუსიკოსმა ჩაიარა. უცებ ზარის ბაგირი მოწყდა და ზარი ძლიერი, გამზული ხმით დაენარცხა მიწაზე. „რა იყო?“ წამოიძახეს მათ შეშინებული ხმით.

ამ დროს მგზავრმა ჩაიარა და უთხრა: კაცმა რომ თქვახ, თქვენ კი უნდა მიხვედრილიყავით, რა იყო და ფა — დიეზო.

გრამატიკის გაკვეთილზე მასწავლებელმა იკითხა: ვინ გადაიყვანს მომავალ დროში წინადადებას: „ის ხვამს“.

ამ დროს მგზავრმა ჩაიარა და უთხრა: ის უკვე მთვარალია.

— რატომ შეგიყვარდა ყოველ დღით ბირის პარსვა? — ჰკითხა ინგვამ მეუღლეს.

— როდესაც ვიპარსავ, თავს ათი წლით გაახალგაზრდავებულად ვგრძნობ, — უპასუხა ქმარმა.

— მაშ, ამიერიდან დაწოლის წინაც გაიპარსე ხოლმე, — ურჩია ცოლმა.

გერმანულიდან თარგმნა შ. ამირანაშვილმა



— იმხანაგებო, გთხოვთ ბურთი ზუსტად მოგეაწოდოთ, ვთამაშობთ შესუსტებული შემადგენლობით. ზზბენგე ლენგერნი (პოლონეთი).

ნ ა რ ე ვ ი

სახიუთო უონი

ერთი ხარი უნდა შეეწიროს, რომ გადარჩეს მთელი ზედაგი, — ასეთი უცილობელი პირობაა იმ პატარა მდინარეზე გადასასვლელად, რომელიც ბრაზილიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მიმდინარეობს, ქალაქ კორუმბას მახლობლად.

ამ მდინარის სიგანე 100 მეტრს აღწევს, სიღრმე კი უმნიშვნელო აქვს, მაგრამ ის სავსეა გაუმძღარი სისხლის მწყურვალ, მტაცებელი თევზებით—პირანიებით. დამშეული მგლებივით ეძგერებიან ხოლმე ისინი ყოველივე ცოცხალს, რასაც კი წააწყდებიან და თვალის დახამხამებაზე გააქრობენ.

კორუმბას სასაკლაოსთვის საჭირო მსხვილფეხა საქონლის გადარტყვა მწყემსებს ამ მდინარეზე უხდებოდა ხოლმე. პირანიებისგან თავის დასაღწევად ისინი შემდეგ ხერხს მიმართავენ: ჯოჯიდან ამოარჩევენ ყველაზე უფარგის, გაძვალტყავებულ ხარს და მას შეადებენ მდინარეში.

უმალ იმ ადგილას წყალი ერთბაშად თითქოს აღუღდა და მალე შემწარავი წითელი ფერიც დაეღება მდინარის ზედაპირს, ეს იმას ნიშნავს, რომ პირანიები შემოესიენ ბედკრულ მსხვერპლს და თავისი სისხლიანი ღრეობა გამოართვენ.

გაივლის რაღაც ათიოდე წუთი, და ხარისგან მხოლოდ ჩონჩხი და დარჩება. ამიტომ მწყემსები აჩქარებით ერეკებიან ჯოჯ მდინარეში, რომ მეორე ნაპირზე გადაასწონ ამ მტაცებლებს.

კონგაპანდისში უზგაკები

ხაინტერესო ამბავი მოხდა ამ ცოტა ხნის წინათ შვეიცარია-იტალიის საზღვარზე. ერთ ვაჭარს დასჭირდა კონტრაბანდულად გადაეწიდა თაფლი იტალიიდან შვეიცარიაში. კანონით აკრძალულ ამ საქმიანობაში მან გამოიყენა... ფუტკარი.

ვაჭარმა რამდენიმე თავისი სკა შვეიცარიის ტერიტორიაზე დადგა საზღვრის მახლობლად. კორდონის მეორე მხარეზე მისმა თანამონაწილემ ჩამწყრივა თაფლით სავსე ქოთნები. როგორც კი შრომისმოყვარე ფუტკრებმა თაფლს მიაკვლიეს, დაუყვანებლივ ენერგიულად შეუღდნენ საქმეს, საში დღის განმავლობაში მათ თავის სკებში 100 კილოგრამამდე თაფლი გადააზიდეს, მესაზღვრეები კი გუმანშიც არ იყვნენ. ამრიგად, ფუტკრები უნებლიეთ კონტრაბანდისტებად იქცნენ.

ღოსპარის თანაშემწე ჭინჭავილები

გიგანტურ ჭინჭავილებს ახალ გვინეაზე პრიმიტიულ ქირურგიაში იყენებენ... „მოშკერად“. ღოსპარები ქრილობის ნაპირებს ერთმანეთს მიუახლოვებენ და მერე მასზე მკიდროდ მიადებიანებენ ყუბას ჭინჭავილას. ჭინჭველა იმწამსვე ჩააფრინდება ხორცს. ამ დროს მას უკანა ტანს მოაწვევებენ, „მოშკერები“ კი სხეულზე რჩება ქრილობის მოშუშებად.

რედაქტორი გრ. აბაშიძე | სარედაქციო კოლეგია: შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. სააკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.
სამ. კვ ცენტრალური კომიტეტის საგომცემლოება | მხატვარი-რედაქტორი შ. ლევაგა | ტექნიკური დ. ხეფაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV ხარტ. | ტელ. — რედაქტორის და პ/მგ მდივნის — 8-52-69, განყოფილებების — 8-85-88.
რედაქციაში შემოსული მახალგაზრდა ავტორებს არ უბრუნდებათ. | ფასი 3 მან. | გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/VI-58 წ. გამომც. № 96. ქალ. ზომა 70 X 108 1/2, 1.5 ქალ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. ტირაჟი—20.000. შეკვეთის № 331. უფ. 00943.
Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии
ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი; თბილისი მარჯანიშვილის ქ. № 5







ბ. 1/56 3 9/59



ქართული  
ბიბლიოთეკა

